619
1972

ღვიძილი

№ 10 ოქტომბერი 1972

რუსთავის ახალი უბანი ფოტო თ. არჩვაძისა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლენინური

№ 10 (431) ოქტომბერი, 1972 წ.

გამოცემის წელი 50-ე.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

ეს ჩვენი, ჩვენ ყველანი

როგორ ემზადებიან რუსთაველები დიადი დღესასწაულისათვის

71831

გაისად ოცდახუთი წელი შესრულდება იმ დღიდან, რაც რუსთავი ქალაქად იქნა გამოცხადებული. მეოთხედი საუკუნე ისტორიისათვის ფრიად მცირე დროა, მაგრამ აბა დაუკვირდით რა სასწაულები მოხდა...

ახლა საქვეყნოდ არის ცნობილი რუსთავის მარკის მილები, ფურცლოვანი ნაგლინი, თუჯი, ფოლადი. უზარმაზარ მეტალურგიულ ქარხანას ძმებივით ამოუდგნენ მხარში ქიმიური კომბინატი, რომელიც უშვებს აზოტოვან სასუქებსა და კაპროლაქტამს, ქიმიურ ბოჭკოს, ამწემშენებელი და ცემენტის ქარხნები, ლითონკონსტრუქციებისა და თუჯჩამომსხმელი საწარმოები. აქ დამზადებული პროდუქცია იგზავნება მსოფლიოს ორმოცზე მეტ ქვეყანაში.

როცა მომავალი ქალაქის მშენებლობა იწყებოდა და ბარის პირველი დაკვრა იყო საჭირო, აქ ჩამოვიდნენ რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიის, აზერბაიჯანის, სომხეთის, ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის, შუა აზიის და ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს სხვა კუთხეების შვილები. აქ ისინი მოვიდნენ საწარმოო გამოცდილებით და ტექნიკით და ქართველ ძმებთან ერთად დაიწყეს მეტალურგიული ქარხნის მშენებლობა. ქარხანას სჭირდებოდა ადგილობრივი კადრი და აი, ჯერ კიდევ სამამულო ომის წლებში ქართველ ჭაბუკთა დიდი ჯგუფი სასწავლებლად და პრაქტიკის მისაღებად რუსეთისა და უკრაინის მეტალურგიულ ქარხნებში გაიგზავნა.

ცნობილმა ქართველმა მეტალურგმა, სოციალისტური შრომის გმირმა ა. ძამაშვილმა ტაგანროგის მეტალურგიულ ქარხანაში მიიღო პირველი ნათლობა.

დონეცკის მეტალურგიულ ქარხანაში იზრდებოდა ა. ფანცულაია — სახელმოხვეჭილი მეტალურგი, სოციალისტური შრომის გმირი. იგი ხშირად იგონებს და ადგილზეც კი ეწვევა ხოლმე თავის უკრაინელ კოლეგებს, შრომაში დაძმობილებულ და დამეგობრებულ ვ. ნოვიკოვსა და ნ. ბიჩკოვს. სულ მალე, როცა რუსთავის მეტალურგები აღნიშნავენ თავიანთი ქალაქის 25 წლისთავის იუბილეს, ა. ფანცულაიას გადაწყვეტილი აქვს სტუმრად მოიწვიოს თავისი უკრაინელი მეგობრები. დღესასწაულზე უკრაინელ და რუს მეგობრებს მოიწვევენ აგრეთვე მეტალურგები — მ. სპანდერაშვილი, გ. ბერეკაშვილი, ვ. კობერიძე, ვ. მეტრეველი, პ. იმედაშვილი, ვ. გიგიბერია, შ. კუნცეიშვილი და სხვები.

ლ. სავჩენკოს სინთეზური ბოჭკოს ქარხნის საგრეხ საამქროში გავეცანით. იგი აქ ჩერნიგოვიდან ჩამოვიდა და ისე შეეჩვია კოლექტივს, რომ თავისი სიცოცხლე მის გარეშე ვერც კი წარმოუდგენია.

აი რას ამბობს ლატვიელი მ. ეიბორტი:

— მე საქართველოს ვთვლი მეორე სამშობლოდ... მეგობრობაში მე ვიპოვე ბედნიერება, სიხარული, და ყოველივე ეს შედეგია იმ სიკეთისა, რაც მოგვიტანა დიდმა ოქტომბერმა.

უდიდეს სიხარულს გამოხატავს თავის ბედის გამო ბელორუსი ნ. სელიკინა, რომელიც ცემენტის ქარხანაში მუშაობს. — ბელორუსია შორს არის საქართველოდან, — ამბობს იგი, მაგრამ საქმე განა სიშორეშია? რა მნიშვნელობა აქვს გეოგრაფიას, როცა ჩვენ აქაც ისევე ვგრძნობთ თავს, როგორც საკუთარ სახლში. ჩემი მიზანი ახლა ის არის, რომ ვიმუშაო კარგად და ჩემ მიერ გამოშვებულ პროდუქციაზე თქვან: ჩინებულია!

ხალხთა ლენინური მეგობრობა რუსთავში ისევე, როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, დიდი ხანია იქცა ცხოვრების ძირითად კანონად. ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს ამჟამად, როცა ჩვენი ხალხი ემზადება საბჭოთა კავშირის სახელოვანი 50 წლისთავისათვის.

მარტენის საამქრო... აქ კვირა ისე არ გავა, რომ ქართველ მეფოლადეებს თავიანთი რუსი, უკრაინელი, აზერბაიჯანელი და სხვა რესპუბლიკის მეტალურგთა წარმომადგენლები არ ეწვიონ და ერთობლივად არ გამოადნონ მეგობრობის ფოლადი. ამ ფოლადივით მტკიცეა მათი ძმობაც. წელს სტუმრებთან ერთად მეგობრობის ფოლადი გამოადნეს გამოჩენილმა მემარტენეებმა დ. მეტრეველმა, გ. ბერეკაშვილმა, ზ. ყაველაშვილმა და სხვებმა.

მეგობრობის ფოლადი... მისი გამოდნობა ტრადიციად იქცა არა მარტო რუსთავში, არამედ იმ ქარხნებშიც, სადაც იმყოფებიან რუსთავის წარმომადგენლები. ერთ-ერთი ასეთი ნადნობი ამას წინათ გამოუშვეს ქალაქ უდანოვის ქარხანა „აზოვსტალში". აქ სტუმრად იმყოფებოდნენ ცნობილი მეტალურგი ვ. გიგიბერია და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მ. სპანდერაშვილი. ქართველების ჩასვლის მიზანი უკრაინელ კოლეგებთან ის იყო, რომ მოემზადებინათ ნიადაგი ამ ორ ქარხანას შორის სოციალისტური შეჯიბრების გასაშლელად, მტკიცე მეგობრული კავშირის დასამყარებლად. ქართველმა მეტალურგებმა „აზოვსტალში" გაიცნეს სახელმოხვეჭილი უკრაინელი მეფოლადე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვ. შუდრა, რომელიც იმ დროს შრომითს ვახტზე იდგა. მან თავის ღუმელთან მიიწვია მ. სპანდერაშვილი და ორივე ერთად შეუდგნენ დნობის განხორციელებას. პროცესმა წარმატებით ჩაიარა, დნობა საათნახევრით ადრე განხორციელდა...

— ახლო მომავალში ვლადიმერ შუდრა ჩვენი სტუმარი იქნება, — ამბობს მიხეილ სპანდერაშვილი და ემზადება მის შესახვედრად.

...რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში რომ შეხვალთ, თქვენ გაჩვენებენ სიას იმ ქარხნებისას, რომლებთანაც მათ მეგობრული კავშირი აქვთ დამყარებული. აი ეს სიაც: ენაკიევო, სუმგაითი, დო-



რუსთავი. მეტალურგიული ქარხანა.

მამედ არაზი (იბრაჰიმი)

ვ ო ლ გ ა

საყვარელი ბანგი რომ
აგიტაციებს ხანდახან,
ისე გავუტაცნივარ
შორეთებში საფიქრალს
და სამხრეთის ქარივით,
იმავ ქარის მხარდამხარ,
ვით სტუმარი მოვსულვარ
დედა ვოლგის ნაპირას.

— ის ბიუნა სად არის,
ვალოდია პატარა?
დედა ვოლგავ, მითხარი! —
მდინარისთვის მიკითხავს.
ის ხომ მისმა ოცნებამ
მთელ ხმელეთზე ატარა,
მერე საით წავიდა,
რომელ ცხრა მთას იქითა?

ხმა გამეცით კლდიანო
ნაპირებო, ქვიშნარო,
თქვენს სანახებს მადლიანს
როდის აქეთ გაშორდა?
ეს მღელვარე ტალღები
იქნებ (ახლა ვინიშნე)
არის მისი ფიქრები,
არის მისი ბავშვობა!

ის ხალხის გულს მიება
ასიათას ძაფითა,
ყველას გულში აღღერდა
საუკუნო ბანგებად.
ვოლგავ, მხნევ და ძლიერო
ღელვითა და ხაფითა,
შენი ტალღა ლენინის
სუნთქვით მოიგრაგნება.

მეუბნებიან...

მეუბნებიან, მტრები გყავსო.
მართლა, ნეტავი?
სახრჩობელაზე აპყავთ თურმე
ჩემი სახელი.
თურმე ათასი უკან დამდევს
ჩრდილის მჩხვლეტავი,
ორმოს მითხრიან,
დაუგიათ ჩემთვის მახენი.
მტრებიო?! თუმცა არც ეგ არის
გასაკვირველი.
ისე, რომ გითხრათ, არც კი ვიცი,
მტერი ვინა მყავს.
იქნება მათზე ჩემი დიდი
დარტყმა პირველი
სწორედ ის არის,
თვალით ერთიც რომ არ მინახავს.

აზერბაიჯანულიდან თარგმნა
ზეზვა მედულაშვილმა.

რასულ რზა

ვ ი ნ ი ც ი ს...

უთხარი შენს თვალებს:
არ დამიბნელონ დილა მზიანი.
არ დამენახონ
ცრემლით სველი და ხევდიანი;
არ დასცდეთ ურვა,
იყვნენ მუდამ ალერსიანი.

უთხარ შენს ბაგეთ:
იჩურჩულონ ლხენად გულისა,
არ შემიშფოთონ
სული სავსე სიყვარულითა.

წლები მიჰქრიან...
მხრებზე მაწევს წელთა მატება,
ხან წავბორძიკდი,
ხან წილად მხვდა მე წარმატება.

მოდი და დარჩი,
ვერ გაგიშვებ ვერსად, იცოდე!
მოდი, ორივე
ერთნაირი ცეცხლით ვიწვოდეთ!

ჩამკიდე ხელი,
გასაშვები არც მე ვარ-მეთქი,
გულს გული იცნობს,
მე შენ გიცან,
იწამე ღმერთი!

ჩემს სიჩუმეში,
ჩემს უსიტყვო გულის ფრიალში
უფრო მეტი რამ იმალება,
უფრო დიადი.

ვინ იცის, იქნებ
ეს გადიქცეს გზის დასაწყისად,
ვინ იცის, იქნებ
ეს არ არის კიდევ ყოველი,
შენი არ ვიცი,
მე ჩაგთვალე უკვე თავისად,
სწორედ შენს გამო,
ცხოვრებისგან მე ბევრს მოველი.

აზერბაიჯანულიდან თარგმნა ლეილა ერაძემ.

ნეცკი, ედანოვი, ნიკოლაევი, ლიპუცკი; როგორც წესი, წელიწადში ერთხელ ეწყობა ამ კოლექტივების წარმომადგენელთა შეხვედრა, რომლის დროს საქმიანი სჯა-ბაასი იმართება მოწინავე მეთოდების ურთიერთგაზიარებაზე, პროგრესულ მეთოდებზე, სიახლეთა დანერგვაზე, მეგობრული კავშირის განმტკიცებაზე. აქვე ფორმდება სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებანი. შემდეგ კი ამას მოპყვება ბოლშე დელეგაციათა ურთიერთგაცვლა, მიმოწერა, სხვა სახის საწარმოო და მეგობრული კონტაქტები.

ხალხთა მეგობრობის საინტერესო ფაქტებს ნახავთ ქიმიური მოსკოს ქარხანაში. სსრ კავშირის შექმნის ნახევარსაუკუნოვანი იუბილესათვის მზადებასთან დაკავშირებით აქ დააწესეს 15 შრომითი ვახტი. თითოეული შრომითი ვახტის ხანგრძლივობა ორი კვირაა და ეძღვნება ცალკეულ რესპუბლიკას.

პირველად ქარხნის შესასვლელთან აფრიალდა რსფსრ-ის დროშა. იქვე სტენდზე მოათავსეს ამ რესპუბლიკის გერბი და გაკეთეს წარწერა — „მიმდინარეობს რუსეთის საბჭოთა ფედერაციული რესპუბლიკისადმი მიძღვნილი შრომითი ვახტი“.

სსრ კავშირის 50 წლისთავის იუბილესადმი მიძღვნილი 15 შრომითი ვახტი დამთავრდება 18 დეკემბერს, ხოლო ამის შემდეგ—30 დეკემბრამდე კიდევ ჩატარდება ერთი, ეგრეთწოდებული დასკვნითი ვახტი. 30 დეკემბერს კი ქარხნის საამქროები იმუშავებენ შრომითი ვახტების დროს დაზოგილი ნედლეულით.

საინტერესო ღონისძიებებს ახორციელებენ კულტურის კერის მუშაკებიც. მეტალურგიული ქარხნის კულტურის სასახლის თვითმოქმედმა კოლექტივმა ამ დღეებში ციკვებითა და სიმღერებით შემოიარა ის ქალაქები, რომლებთანაც ქართველ მეტალურგებს მეგობრობა აკავშირებთ.

სულ მეტი ხალხი იყრის თავს ახლა ქიმიკოსთა კულტურის სახლში. აქ მუშაობს „ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბი“, რომელშიც გაერთიანებული არიან ჩვენი თვალუწვდენელი ქვეყნის მოძმე ხალხთა შვილები. სისტემატურად ტარდება „მეგობრობის დღესასწაულები“. ახლახან მოეწყო ამიერკავკასიის რესპუბლიკების კვირეულები. კვირეულების დროს სტენდები და გამოფენები მნახველებს მოუთხრობენ ამა თუ იმ რესპუბლიკის შრომითს წარმატებებზე, კულტურულ ცხოვრებაზე.

ახლოვდება საბჭოთა ხალხის დიდი დღესასწაული. მრავალეროვანი შრომითი რუსთავი დგას სადღესასწაულო ვახტზე: სატვირთო სადგურ „რუსთავიდან“ ყოველდღე გადის ეშელონები, რომლებსაც მოძმე რესპუბლიკებში და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მიაქვთ რუსთავის მარკის მილები, ფოლადი, თუჯი, ნაგლინი, მოთუთიებული მავთული, ამწე მანქანები, ლითონკონსტრუქციები, ქიმიური სასუქები, კაპროლაქტამი, ხელოვნური აბრეშუმის ძაფი და მრავალი სხვა პროდუქცია.

ყოველივე ეს რუსთაველთა საიუბილეო საჩუქრებია.

ზურაბ მერკვილაძე
ქ. რუსთავი

რუსთავი. ქიმიური კომბინატი.



ჩვენი ინტერვიუ

მეჩაიე ქრისტინე ლომიძე.

როცა ვითხოვე — ყველაზე საუკეთესო მეჩაიე დამისახელეთ-მეთქი, მიპასუხეს — საუკეთესონი ბევრი გვყავსო. ბოლოს მაინც ქრისტინე ლომიძესთან გამგზავნეს. მაშინვე გავეშურე ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის მეოთხე აგროგანყოფილების პლანტაციაში. არ ეცალა ქრისტინეს, მაინც იმ წუთში დადგა კალათი, და მე მომიბრუნდა. სულ რამდენიმე კითხვა მაქვს-მეთქი, ვუთხარი.

კითხვა. — პატივცემულო ქრისტინე, რედაქციიდან ვარ ჩამოსული. გვინდა მოვუყვეთ მკითხველებს თქვენს შრომაზე, თქვენს ცხოვრებაზე. მოგეხსენებათ, ახლა დიდი დღესასწაული ახლოვდება — საბჭოთა კავშირის ნახევარსაუკუნოვანი იუბილე. როგორ ხვდება თქვენი კოლექტივი ამ თარიღს?

პასუხი. — ჩვენს კოლექტივში ხუთი ათასამდე კაცია. მე ერთი რიგითი მეჩაიე ვარ და ვცდილობ ჩვენი კოლექტივი, ეს ჩვენი დიდი ოჯახი მუდამ წინ იყოს, სასახელოდ გამოვიდეს ქვეყნის წინაშე. ჩვენმა მეჩაიეებმა წლიური გეგმა სარეკორდოდ მოკლე დროში — 5 აგვისტოსათვის შეასრულეს და სახელმწიფოს 4.100 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი ჩააბარეს. ორმოცი წელზე მეტია, რაც ეს მეურნეობა არსებობს და ჯერ არავის ახსოვს ასეთი ბრწყინვალე გამარჯვება.

გეგმა გეგმაა, მაგრამ ჩვენ ჩვენი ვალდებულება გვაქვს. ახლა უმთავრესი ისაა, კარგად გამოვიყენოთ დრო, წუთი რა რის, წუთიც კი არ დავკარგოთ უქმად და სამეურნეო წლის ბოლომდე ახალი წარმატებები მოვიპოვოთ.

კითხვა. — რას იტყვით პირადად თქვენს მუშაობაზე?

პასუხი — როცა ჩვენებზე ვლაპარაკობ, იქ ჩემს მუშაობასა და ჩემს წვლილსაც ვგულისხმობ. ჩვენი მეურნეობა კი საკმაოდ დიდი და ძლიერია. მას თავისი ტექნიკუმი აქვს, რომელიც ამზადებს მექანიზატორებს, ბუღალტრებს, მგეგმავ-ეკონომისტებს, უმცროს აგრონომებს.

ამას გარდა, ლაითურის საბჭოთა მეურნეობა ჩვენი მეცნიერებისა და კონსტრუქტორების ექსპერიმენტული ბაზაა. მთელს მსოფლიოში სახელგანთქმულმა ჩაის პირველმა საკრეფმა მანქანამ „საქართველომ" სწორედ ლაითურში აიდგა ფეხი.

ჩვენი ჩაის პლანტაციები ათასამდე ჰექტარ ფართობზეა გადაჭიმული. მეჩაიეობის გარდა, მივდევთ მეციტრუსეობას, მევენახეობას, მეხილეობას. გვაქვს ტუნგოსა და ბამბუკის პლანტაციებიც.

მეოთხე აგროგანყოფილებას, რომელშიც მე ვმუშაობ, 24 ჰექტარი ჩაის პლანტაცია აქვს მოსავლელი. გეგმით 100 ტონა ჩაი უნდა მოვკრიფოთ, ვალდებულება კი 104 ტონაზე გვაქვს აღებული.

პირადად მე, შარშან მთელ სეზონში 8 ტონა და 600 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოვკრიფე. წელს უკეთესად ვიშრომე. ჩაის ფოთლის კრეფის სეზონის დამთავრებამდე ჯერ კიდევ დიდი დროა დარჩენილი, მაგრამ უკვე 9 ტონა და 400 კილოგრამი ნედლეული მაქვს მოკრეფილი. დრო კიდევ წინ არის და ვნახოთ, ჩემს მეგობრებთან ერთად რის გაკეთებას შევძლებ.

კითხვა. — როგორც ვიცი, მთელ დღეს პლანტაციაში ატარებთ. როგორ იყენებთ თავისუფალ დროს, რას კითხულობთ მხატვრული ლიტერატურიდან?

პასუხი — ჩვენ, მეჩაიეები მხოლოდ რამდენიმე თვე ვართ დაძაბულად დატვირთულები. საქმეს პლანტაციაში რა გამოლევს, მაგრამ ფოთლის კრეფის სეზონის დამთავრების შემდეგ, ასე თუ ისე, შედარებით მეტი დრო გვრჩება. ამ დროს პირადად მე კარგად ვიყენებ, გართობა-დასვენებისათვის შორს არ გვჭირდება წასვლა. მეურნეობაში თორმეტი ავიტბრიგადაა და თითოეულ მათგანს თავისი წითელი კუთხე აქვს. კულტურის სასახლეში გასართობს რა გამოლევს? გნებავთ ბიბლიოთეკაში შებრძანდით, გნებავთ დრამატული წრის სპექტაკლებს დაესწარით... ჩვენს კინოთეატრში, ქალაქთან განსხვავებით, ყოველდღე ახალ-ახალ კინოფილმებს უჩვენებენ. მხატვრული ლიტერატურის კითხვისთვისაც მრჩება დრო. მიყვარს გალაკტიონის ლექსები გურიაზე, ნოდარ დუმბაძის რომანები, მიყვარს სათავგადასავლო წიგნების კითხვა.

სოფლელების გართობა-დასვენების დიდი დრო მაინც საქართველოს ტელევიზიის გადაცემათა მოსმენა-ყურებაზე მოდის. ამ გადმოცემებს ჩვენ ხანამოვნებით ვუყურებთ.

კითხვა. — ქრისტინე, ჟურნალ-გაზეთებში ხშირად წერენ ახალგაზრდობის ლტოლვაზე სოფლიდან ქალაქისაკენ. ამ თემაზე მოთხრობებიც იწერება, სპექტაკლებიც იდგმება. თქვენ რას იტყვით ამაზე?

პასუხი. — ამ საკითხზე ხშირად გვიფიქრია და გვიმსჯელია მე და ჩემს მეგობრებს. აქ, ჩვენთან მეურნეობაში ერთი მექანიზატორი მუშაობდა, ნიკოლოზ... გვარს ნუ ჩაიწერთ, არ მინდა ვაწყენინო. ერთ მშვენიერ დღეს ნიკოლოზმა ქუდი დაიხურა, თავი დაგვიკრა და მეურნეობიდან წავიდა.

გავიდა ხანი... იარა აქეთ-იქით ჩვენმა ნიკოლოზმა, ყველაფერი სცადა, ყველაფერი მოსინჯა და დაინახა რომ ისევ აქა სჯობნებია, ჩვენთან. ამასობაში, ვიდრე ის წასული იყო, აქ აშენდა ახალი საცხოვრებელი სახლები, კულტურული თუ საყოფაცხოვრებო ობიექტები. კაცი აღტაცებული დარჩა... ნიკოლოზი ახლა ჩვენთან არის და ძალიან გულმოდგინედაც მუშაობს.

ქრისტინეს თავისი გოგონა პლანტაციაში აცილებს.



ბონდო კეშელავა

ნანი გრიგვაძეს

შენი ჰანგებით ვარ მოხიბლული,
ვარ მოხიბლული შენი ბგერებით.
ვით მომალული ბაღში ბულბული,
ჩვენ გვეფერები მაგ სიმღერებით.

როს გალობს სული მირონცხებული,
შინ მისი ეშხით ვინ არ შთენილა.
ხშირად ვარ შენით დატყვევებული,
მერე კი, მერე დიდხანს შენი ვარ.

როცა აკაკის ცა-ფირუზს მღერი,
გვატკბობ როგორც მზე, როგორც მთვარეო,
ცოტაა გაკადრო — ხარ მშვენიერი,
მეც ერთხელ მაგ ხმას მიმაბარეო.

გამთენიისას

ჩიტის ყივყივში ცისკარი მოდის,
ჩიტის ყივყივში მოდის ნათება.
ნამძინარევი ვერ ითმენს ლოდინს,
ხმაურობს, ჩვენი არ ეხათრება.

იცის მან, მალე, მალე, სულ მალე,
მზე იბატონებს და არა მთვარე.

უცებ მეორემ იწყო გალობა,
იქვე მესამეც ეხმიანება.
ღამის თანდათან ფერისცვალება —
იწყებს ფრთოსანთა შეფრთხიალებას...

მიქელა

მე მყავდა ერთი მეზობელი, ერქვა მიქელა,
მიყვარდა მისი გამოხედვა, მისი ხმა ტკბილი.
რამდენჯერ ჩემთვის გაუწყვია მას საქანელა,
დღესაც თანა მდევს ახოვანი გლეხის აჩრდილი.

ჩვენი ოჯახის კარგის მდომი და ახლობელი
არ იყო მარტო... მხოლოდ თვისკენ არ მიითლიდა.
პაპა მიქელას ადიდებდა მთელი სოფელი,
სიტყვით და საქმით სანიმუშო მშრომელად
თვლიდა.

მხიბლავდა მისი კარმიდამო ფართოდ გაშლილი,
ზაფხულში დიდი ოდა სახლის უყვარდა ჩრდილი,
ჩაცვენილ თვალებს მილულავდა ღიმდაკრულ
ფშვინვით,
სიცოცხლეს ძილით აგრძელებდა ღონემიხდილი.

ბაღარა თმები ამშვენებდა, ვით ლომს ფაფარი,
გამოღვიძებულს წამოჯდომა დასჩემდა ფრთხილი,
სასთუმლის ახლოს ედგა ძეწნის წნელის ჩაფარა,
შვილიშვილისგან შერჩეული ახალი ხილით.

გიორგი გიგაური

ალსარეგა

მე შენი ჩანგის ერთი სიმი ვარ,
აი, იმ ჩანგის, შენ რომ მომართე,
შენ ბერქვეშ,
რაღა გასაკვირია,
ვიმღერო სულის ამოხდომამდე.
მთებზე გამკიდე ცისარტყელებად
და ჩამაფინე ხევში ნისლებად,
გავუძლებ ქარის ამოხველებას,
გული არადროს დაიისრება.
გინდაც მისროლე თერგში ლოდივით,
ვერ გამახელებ ერთგულს და მორჩილს,
არ მეშინიან ამ მოლოდინის,
ვარ შენი სიხხლი და შენი ხორცი.
ჩემი სხეული მაინც აღდგება
შენი სითბოთი და შენი მადლით
და სიყვარულის გასანაღდებლად
კიდევ ვიპოვი დროსა და ადგილს.
მე გავაღვიძებ ქარაფებს მძინარს,
შენმა სიმაღლემ თუკი ინება,
და არ დავრჩები გაწყვეტილ სიმად,
არც დაკვეხნებად,
არც დაპირებად...
გულისთქმა ლექსში ვერ ჩაეტია,
სიტყვამ მყინვარი ვერ გადალახა,
ნუ დამიწყონ სტრიქონს სევდიანს,
დიდ სიხარულს ხომ სევდაც თან ახლავს.

პოეტ-ქალს

როცა შორეულ ლანდებს უმღერი,
მე ურუანტელი ტანში დამივლის,
რაკი დაიდგი ლექსის ულელი,
უნდა გატეხო კიდეც უამირი.
შენ სტრიქონებში დიდი მადლია
მიწიურ განცდის,
ციურ მუზათა,
აღმართს აჰყევი დილაადრიან,
აღმართის ავლა შესძელ მუდამჟამს.

აიმ მთის წვერზე აზიდე ტვირთი,
არ დაიღალო,
არ დაძაბუნდე,
როცა მიუხვალ უცნაურ მზითვით,
გაუხარდება ორბთა საბუდრებს.

მინათებ, მზიურ შუქით მინათებ,
თეთრად აენთნენ ტყემლის რტოები,
გამითბე გული მთების ბინადარს,
არ მაქვს წადილი განმარტოების...

შენ ირემივით ყელს რომ იღერებ,
და მკერდზე იბნევ ლაჟვარდ ღილებს,
მოდი, იმღერე,
ისე იმღერე,
რომ კაცთა სულის გაათბო მღვიმე.
მოდი, მითხარი,
მითხარი რამე,
არ მოგერიდოს ფიქრის გამხელის,
ვერ შეველევი სევდიან თვალებს,
გინდაც დავკარგო სხვა ყველაფერი.

ქრისტინე ლომიძე (მარჯვნიდან მეორე) ახალგაზრდა მეჩაიეებთან.

ასეა, ცხოვრებამ ბევრი რამ ახალი მოიტანა. ადამიანს მოთხოვნილება და ესთეტიკური გემოვნება გაეზარდა. ისევე როგორც ქალაქელს, სოფლელსაც დღეს უნდა შინ თავისი ატმოსფერა ჰქონდეს, გართობა, კულტურული დასვენება, კეთილმოწყობილი ბინა, საყოფაცხოვრებო მომსახურება... ამა მოაწყოს ყველა მეურნეობამ საქმე ისე, როგორც ჩვენთან ერის და ნახავთ, თუ ვინმე მიატოვებს თავის კერას.

ჩვენთან, ლაითურში ქალაქსა და სოფელს შორის ზღვარი თითქმის წაშლილია. კონკრეტული მაგალითები გნებავთ? პირადად ჩემზე მოგახსენებთ. კეთილმოწყობილ, ოროთახიან კომუნალურ ბინაში ვცხოვრობ. ჩვენს მშრომელებს არც გაზი აკლიათ, არც მაცივარი, არც ტელევიზორი და არც ელექტრონი. გვაქვს მუსიკალური სკოლა, სახალხო უნივერსიტეტი, მეურნეობაში მუშაობს საკუთარი ავტომატური ტელეფონების სადგური.

ახლახან მეურნეობის ტერიტორიაზე ქალთა ხალონიც გაიხსნა. ახალგაზრდა მუშა-ქალებს შეუძლიათ მოდურად დაიყენონ თმა, მანიკურიც გაიკეთონ. თანამედროვე, მოდური ტანსაცმელის შესაკერად საკუთარი ატელიეც გვაქვს.

მეურნეობის მუშებს მომსახურებას უწევს საველე სასადილო, სანატორიუმ-პროფილაქტორიუმი, პანსიონატი, სადაც მთელი დღე-ღამით შეიძლება ბავშვების დატოვება...

ახლა ჩვენს მეურნეობას ორ ტაქსსაც ჰპირდებიან. მალე ცენტრალურ გათბობასაც გავიყვანთ და აღარ ვიცი, ამის მერე ქალაქისა რაღა უნდა შეეხარბოს ადამიანს!

ზოგიერთები წუწუნებენ: ახალგაზრდობა გარბის სოფლიდანაო. კეთილ ინებონ, გაისარჯონ, ჩვენსავით მოაწყონ ცხოვრება და მერე ვნახოთ, მიატოვებს თუ არა ვინმე მამაპაპეულ მიწას.

მუშები ჩვენთან ყოველთვიურად 180 მანეთს იღებენ საშუალოდ, მექანიზატორები — 220 მანეთს. თითქმის ყველა მუშას აქვს დამხმარე საბოსტნე ნაკვეთი. ახლა ამას დაუმატეთ პრემიები, ჯილდოები, ერთდროული დახმარებები და ნათელი გახდება, რომ ჩვენ წელგამართულად ვცხოვრობთ.

ასე ვშრომობთ, ვაკეთებთ, რაც შეგვიძლია. გვინდა ჩვენი აგურებიც ეწყოს იმ დიდი და ნათელი შენობის კედლებში, რომელსაც კომუნიზმი ჰქვია; მისი აგება ხომ ჩვენზე, მილიონობით უბრალო. მშრომელ ადამიანებზეა დამოკიდებული და ჩვენც ძალასა და ენერგიას არ დავზოგავთ, რომ ეს შენობა რაც შეიძლება სწრაფად და მყარად ავაშენოთ.

საუბარი ჩაიწერა ოთარ დემეტრაშვილმა.

ზაზუ მებურიშვილი

შენ, შენ ანათეგ

შეასკდა სივრცეს
უეცარი ხმა აფეთქების
და ორბებივით
შეფრთხიალდნენ
ცაში ბელტები.
ხეობას ეხო
გამოსტაცეს
ლურჯმა სერებმა,
გადაუღეღეს
მიწას მკერდი ბულდოზერებმა
შებმიან კლდეებს,
გვაოცებენ
და გვახარებენ
ლომიძეები,
ქარდავები
და ემხვარები...
ელოდებიან გვირაბები —
ფართო ვენები
ენგურის სისხლად დაქუხებას
და გაჭენებას...
სიჩუმის ბზარში
„ოდოია“ მიედინება,
მხრებზე სიგრილე
გვიალერსებს
ხეთა ჩრდილებად.
ემზარს და რეზოს
და ბიძინას
შუბლზე აცხიათ
ჭვარტლი — ამბორი
მამაპაპურ მეგრულ ფაცხისა.
ბაას-ბაასით
მივაბიჯებთ
ხევ-ხევ და მთა-მთა,
ვეღარ იტევენ
დიდ სიყვარულს
გუგები თვალთა...
ვინ იყო, მზერა,
შუბლის ცვარო,
ვინ მოგარიდა.
შენ, შენ ანათებ
წარსულიდან
და მომავლიდან
ათას ჩუქურთმად,
ათას ფრესკად,
ათას გუმბათად...
მე შენით ვიცნობ ადამიანს
ნაღდს და გულმართალს.
ჰეი, ენგურო, ამ კარგ ბიჭებს
არ დარჩე ვალში,
ჩაუდექ მამულს
დაუშრეტელ სინათლედ თვალში!..
ისევ გაისმის
ფეთიანი ხმა აფეთქების
და ფრთხიალებენ,
ფრთხიალებენ ცაში ბელტები.

სიღნაღის ღამე

მგონია ამ წუთში,
ამაღამ,
სწორედ იქ,
სადაც მე
ვდგავარ ახლა,
კახეთი სიღნაღად ამაღლდა —
თავის სილამაზის დასანახად.
მართლა იმედივით მბრწყინავი.
მუდამ გაოცებად მეგულება...
გალავნად ავლია წინაპრის
შიში, იმედი და... ერთგულება.
ქათქათა ტყემლების ფერია
მთვარეში ღრუბლების სართულები...
წნორი ჰგავს
მღვივანა კერიას,
ციმციმა ნაკვერცხლებს — ნათურები.
მოცვივა,
მოცვივა... ბარჩხალა
ვარსკვლავთა წვიმაა საოცარი.
ტიბაანს, მირზაანს, მაჩხაანს
მაქვს ჩემი კუთვნილი სალოცავი.
და სწორედ ამ წუთში, ამაღამ,
სწორედ იქ,
სადაც მე
ვდგავარ ახლა,
კახეთი სიღნაღად ამაღლდა —
თავის სილამაზის დასანახად.

დავით მჭედლური

ნამწიფოგევს

მწყრალი დღეა, მრეშმა ნისლმა
თვალსაწიერს გადასდია,
ამოსულა ძაღლყურძენა,
და ტირიფებს გადაზრდია.
ჩამოსულა ტყიდან ფითრი,
და ვენახებს შესევია,
რა ყვითელი ფოთლებია,
რა შიშველი ფესვებია!
მოდის ხალხი თავშიშველი,
დამაშვრალი ხალხი მოდის,
ჰე, რა მოკლე მანძილია,
სატირლიდან სალხინომდის!
შემოდგომას მისჭიხვინებს,
მინდორ-მინდორ კვიცი გარბის.
რა მომწიფდა, რა მორთვილდა.
მიხარია ღიმილამდის.
მერამდენე მწიფობის თვე,
ჩემს ბაღ-ვენახს ეკვეხება.
შემოდგომას სოფლის კაცი
სოფლის წესით ეგებება.

* * *

ნაცნობი ხმები გაზაფხულისა
შემოეჩვია მიდამოს ისევ,
იმკის სოფელი საყვარელ ამინდს
საყვარელ ამინდს,
ძლიერს და ფხიზელს;
და ბინულების ხმას აგულისებს,
მამულის მთებში დამდნარი ზვავი.
ახლა სამზერლად თვალი არ კმარა,
სულით ვუცქერი, რასაც ვუცქერი.
დევს ჩემს წინაშე უცნობი წიგნის
დაუწერელი ჯერაც ფურცლები,
თეთრი კრავების გაშლილი არვე,
შემღვრეულ კორდებს,
საყვარლად კიკნის
და ალტკინების დაფარულ მიზეზს
შენი ღიმილის ხსოვნაში ვიძევ...
არაგვის ჭალა,
როგორც ნახატი,
უცებ ცოცხლდება, უცებ იღვიძებს,
ო, ამ მშვენებას ოდენ ძალმიძდეს
ხელუხლებელად შეგინახავდი.

პიანინო

დგას პიანინო, გასარკულ ხუფით,
დაგმანულია კარი ბგერების,
თითქოს შემკრთალი ბარტყების ჯგუფი,
მოსწყვიტეს მზეს და ბედნიერებას.

დაყურსულები იცდიან შიშით,
მრავალი დღე და მრავალი წელი
და კლავიშებზე, ვით დედა ჩიტი,
დახტის გამხდარი, ფაქიზი ხელი.

ხვთისო წიკლაური

ხიდი

მომხდურს ორწოხში გზა გადუღობა, —
იმსხვერპლა,
თვითაც დაიმსხვრა — გმირი!...
ის მარად ზავის არის დუღაბი,
მუდამ ძმობას და სიყვარულს ყვირის

აკეთებს ნახტომს, როგორც ავაზა,
რომელმაც ხრამში მტერი გასრისა,
მშვიდობას ხიდი უყვარს ლამაზი,
ომს ეშინია ხიდზე გასვლისა.

წეროების გადაფრენა

მიქრიან ხანგრძლივ ფრენას ნაჩვევნი,
ულერენ მანძილს კისრებს ალესილს
და სამშობლოდან შორეთს დარჩენილ
ხალხს ეძახიან თავის მხარეში.
ბურღავენ ეთერს ფრთების შრიალით,
სწრაფვით და ქროლვით დაუცხრომელით
და ხსნიან ყველა ერის იარებს
და ეხერხებათ ენა ყოველი.
მათ ლურჯ გზებს ნისლი ბევრჯერ ებურა,
ნისლს ეპყრა მთები და გორგურები.
მაგრამ შინ მაინც დაბრუნებულან —
გრძელი მფრინავი ზღვის ჩონგურები.
გადაივლიან, როგორც ღრუბლები,
დამძიმებული ციურ ზღაპრებით,
შინმოუსვლელებს დაეუფლებათ
სურვილი ქროლვის და გადაფრენის.
და დაერღვევათ სულის მშვიდობა,
გაებზარებათ გულის ეფვანი
და დედამიწას მოემშვილდება
მათი წუხილი და კაეშანი.

დიდი რეჟისორი

კოტე მარჯანიშვილი, რომლის დაბადების 100 წლისთავს ფართოდ აღნიშნავს მთელი ჩვენი ქვეყანა, თეატრალურ სფეროში ფენომენალური მოვლენა იყო. იგი მოწაფეობიდანვე გაიტაცა თეატრმა, მონაწილეობას იღებდა სასკოლო სპექტაკლებში და არდადეგების დროს თვითონ მართავდა წარმოდგენებს მშობლიურ უყარელში. ოცდაორი წლისამ ფეხი შედგა ქართულ პროფესიულ სცენაზე და მას შემდეგ უკვე თეატრით ცხოვრობდა და თეატრით სუნთქავდა. გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების მიწურულში მარჯანიშვილი რუსეთში მიდის და იქ აგრძელებს თეატრალურ მოღვაწეობას, ასრულებს მთავარსა და წამყვან როლებს. მაგრამ თავისი აქტიორული მოღვაწეობით მაინც კმაყოფილი არ არის, შინაგანი მოწოდება სარეჟისორო მოღვაწეობისაკენ უბიძგებს. პირველივე დადგმებით აღმოაჩინა თავისი თავი, მოხიბლა მაყურებელი და საყოველთაო აღიარება მოიპოვა, როგორც ნიჭიერმა და თავისთავადმა რეჟისორმა. კოტემ მაშინვე მიიქცია ცნობილი ანტრეპრენიორების ყურადღება; პირველი რევოლუციის წინა ხანებში ნეზლობინის მიწვევით რიგაში მიდის და იქ მისი რეჟისორული ტალანტი მთელი თავისი მშვენიერებით იჩენს თავს.

მარჯანიშვილის რიგაში მოღვაწეობა დაემთხვა რევოლუციური მოძრაობის აღმავლობას. იმ ხანად იქ ცხოვრობდა დიდი პროლეტარული მწერალი მაქსიმ გორკი, რომლის გავლენითაც მოწინავე ინტელიგენციამ აქტიურად დაუჭირა მხარი მუშათა განმათავისუფლებელ მოძრაობას. კოტე მარჯანიშვილიც მოწინავეთა რიგებში აღმოჩნდა.

1905 წლის 9 იანვარმა, — იგონებდა შემდგომში მარჯანიშვილი, — საბოლოოდ ყველანი რევოლუციონერებად გვაქცია; რეპეტიციებიდან პირდაპირ მიტინგებზე მივდიოდით და ვცდილობდით ჩვენი ადგილი გვეპოვა მებრძოლთა შორის.

კ. მარჯანიშვილმა ნახევრად გატაცება არ იცოდა. იგი მთელი არსებით გადაეშვა რევოლუციის ტალღებში და აქტიურად გაჰყვა მის მშფოთვარე დინებას, მიტინგებიდან მიტინგებზე მიდიოდა, მგზნებარე სიტყვებს წარმოსთქვამდა, ხალხს თვითმპყრობელობასთან თავდადებული ბრძოლისაკენ მოუხმობდა.

ეს შემართების სულისკვეთება მან თეატრშიც შეიტანა. ახალგაზრდა რეჟისორს მშვენივრად ესმოდა ხელოვნების აქტიური როლი ხალხის შეგნების ამაღლებისა და მისი საბრძოლო სულისკვეთების გაღვივებაში, ცხოვრების გარდაქმნისათვის ბრძოლაში. რევოლუციურ მოძრაობაში აღმოაჩინა მან ის ახალი სული, რომელიც თეატრს თავის ნამდვილ მოკალაქეობრივ მგზნებარებას უბრუნებდა. მის სპექტაკლებს გასაოცარი იდეური და ემოციური ზემოქმედების ძალა გააჩნდათ, ისინი ორგანულად ერწყმოდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების საერთო მაჯისცემას, იწვევდნენ მაყურებლის სულიერ განახლებას და აღზევებას. რიგაში განხორციელებული პიესები — კლასიკური იყო ისინი თუ თანამედროვე — ახლებურად იყო წაკითხული, მაყურებელს ისინი ხიბლავდნენ მოკალაქეობრივი პათოსითაც, ფერების სიმდიდრითაც, იდეური სითამამითაც და პოეტური სილამაზითაც. ახალგაზრდა რეჟისორის ტემპერამენტი, მისი მხატვრული ფანტაზია მომაჯადოებელი აღმოჩნდა, მაყურებელი მთელი არსებით სპექტაკლის გავლენაში ექცეოდა, თავდავიწყებას ეძლეოდა, თეატრიდან სულიერად ამაღლებული გამოდიოდა.

და აი, იმ დროს, როცა მოსკოვის თეატრალური მუზა თითქმის თვლემდა, უცნობმა ახალგაზრდა რეჟისორმა მაშინდელი პროვინციიდან მ. გორკის „მოგარაკენი" ჩამოიტანა და მთელი თეატრალური სამყარო აამოძრავა, დიდი თეატრალური ქალაქის საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა რეჟისორული გამომგონებლობით, დახვეწილი გემოვნებითა და მაღალი პროფესიული კულტურით. უცნობმა ახალგაზრდამ სწრაფად გაითქვა სახელი, მასში მაშინვე დაინახეს ნოვატორი ხელოვანი, რომელიც გაბედულად უპირისპირდებოდა რუტინას, ახალ გზებს კვალავდა. მარჯანიშვილის ხელოვნებაში მოსკოველებმა ახალი მაჯისცემა იგრძნეს, მოინდომეს მისი მოსკოვში დატოვება, მაგრამ რეჟისორმა მომავალი სეზონი ისევ რიგაში გაატარა. შემდეგი სეზონები დიდი წარმატებით ჩაატარა კიევში, ოდესაში, მოსკოვში... კოტე მარჯანიშვილის რეჟისორული ავტორიტეტი და პოპულარობა იშვიათი სისწრაფით იზრდება; 900-იანი წლების მიწურულში უკვე საზღვარგარეთაც დაინტერესდნენ მარჯანიშვილის ხელოვნებით, საშუალებას არ იშურებდნენ, რომ გადაებირებინათ იგი, მაგრამ სწორედ ამ დროს სამხატვრო თეატრის მიწვევა მიიღო და სხვა ყოველგვარ მაცდუნებელ წინადადებაზე უარი თქვა. სამხატვრო თეატრი კოტეს იდეალად ესახებოდა, იქ მუშაობა ოცნებად ჰქონდა გადაქცეული. და აი, ამაზე დიდი და მომხიბვლელი რა შეიძლებოდა ყოფილიყო! თვითონ კი არ მიდიოდა იქ, ისინი იწვევდნენ!

სამხატვრო თეატრის ხელმძღვანელებს მარჯანიშვილი თავისი დამოუკიდებლობითა და თაოსნობით მოსწონდათ. სტანისლავსკი დიდად შეწუხებული იყო, რომ ირგვლივ ასეთს სხვას ვერავის ხედავდა. — რატომ არ იზრდება ჩვენთან დამოუკიდებელი მოღვაწეები, ნუთუ ჩვენ მათ ასე ვუშლით ხელს, — შეშფოთებული ეკითხებოდა იგი ნემიროვიჩ-დანჩენკოს.

კოტე მარჯანიშვილი-რეჟისორი მუდამ საინტერესო იყო სიახლის გაბედული და დაუოკებელი ძიებით. მის შემოქმედებაში ქართული და რუსული თეატრის საუკეთესო ტრადიციებს ორგანულად ერწყმოდა გრძნობა სიახლისა, სუნთქვა ეპოქისა; მთელი მისი ძიება იქით იყო მიმართული, რომ უფრო მეტი გამომსახველობისათვის მიეღწია და თეატრი ეპოქის მოწინავე იდეების ღირსეულ მესიტყვედ ექცია, ყოველი სცენური სახე პოეზიით გაეთბო, გაემსჭვალა და მაყურებლის გონებასთან ერთად მისი გულიც დაეპყრო, „თავისი სულიერი სამყარო სხვის სულში გაეხსნა".

ა. ლუნაჩარსკი, მიმოიხილავდა რა თვალს იმდროინდელი რუსეთის თეატრალურ ცხოვრებას, ამბობდა: „ამ ფონზე კოტე მარჯანიშვილი მეტად ბრწყინვალე ფიგურად გამოჩნდა. თუ სხვები თეატრში ეძებდნენ ძალიან წმინდა, ნატიფ ფორმებს და ნიუანსებს, და გაფაქიზებული იმპრესიონიზმის გამოჩინებას ლამობდნენ, მარჯანიშვილს, ქართული ტემპერამენტით, შემოქმედნდა ცხოველმყოფელობა, ბრწყინვალე ფერები, რეალობა და, ამ აზრით იგი, როგორც რეჟისორი, უეცრად გამოჩნდა, უცბადვე ჩამოაყალიბა თავისი სახე".

კოტე მარჯანიშვილის შემოქმედებითი ტალანტი განსაკუთრებული ძალით დიდი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ შლის ფრთებს. სოციალისტურ რევოლუციაში დაინახა მან თავისი მოკალაქეობრივი და ეხთეტიკური იდეალების განხორციელების რეალური შესაძლებლობანი. მარჯანიშვილის თეატრალური ტემპერამენტი ღრმად, ორგანულად შეეთვისა რევოლუციას და მის თანაზომიერ გამომხატველ სტილად იქცა. ჯერ ისევ სამოქალაქო ომის ქარიშხალი მძვინვარებდა, როცა კ. კიევში მან პირველი რევოლუციური სპექტაკლი „ცხვრის წყარო" დადგა. შემართების პათოსით გაჟღენთილი ეს სპექტაკლი გასაოცარი ძალით აჟღერდა და „ბრწყინვალე გამამხნევებელ წარმოდგენად გადაიქცა". კოტეს მოღვაწეობა კიევში მეტად ნაყოფიერი გამოდგა, მისი სპექტაკლებით მოხიბლული მაყურებელი აღტაცებას ვერ ფარავდა. ისინი გაოცებული უყურებდნენ ძლიერსა და უჩვეულო სანახაობას.

ქართული თეატრის ისტორიაში კი კოტე მარჯანიშვილის როლი განუზომელია. ჩვეულებრივად მას ქართული თეატრის განმაახლებელს ვუწოდებთ, მაგრამ თუ ღრმად ჩავუკვირდებით იმას, თუ რა მდგომარეობაში იყო მაშინ ქართული თეატრი, როცა კოტე საქართველოში ჩამოვიდა, აშკარა გახდება, რომ მისი როლი გაცილებით დიდია. ქართული თეატრი მძიმე კრიზისს განიცდიდა, ყველას ხელი ჩაქნეული ჰქონდა და გამოსავალს ვერ ხედავდნენ. მარჯანიშვილი მოვიდა როგორც მხსნელი, როგორც მესია. დიახ, მოვიდა, და ქართულმა თეატრმა მკერდი ლაღად გაშალა, მძლავრად დაიწყო სუნთქვა. მისმა „ცხვრის წყარომ", რომლის დადგმის 50 წლისთავი დიდი რეჟისორის დაბადების 100 წლისთავის ზეიმს ემთხვევა, დასაწყისი მისცა ქართული თეატრის ისტორიის ახალ ერას. ამავე დროს, გააცოცხლა და განამტკიცა საყოველთაო იმედები, რწმენა საკუთარი ძალებისადმი. მარჯანიშვილმა შექმნა ქართული საბჭოთა თეატრი, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით. მის მიერ მოტანილმა შემოქმედებითმა მადლმა გაანაყოფიერა ნიადაგი და სულ მალე გაჩნდნენ ნიჭიერ შემოქმედთა მთელი თაობები, რომლებმაც ეროვნული სასცენო კულტურა მწვერვალზე აიყვანეს. თითქოს მარჯანიშვილის მოსვლას, მისი ჯადოსნური ხელის შეხებას ელოდნენ, რომ მთლიანად გამოიმეჟღავნებინათ თავისი შემოქმედებითი ინდივიდუალობა ახალგაზრდა რეჟისორებსაც და ახალგაზრდა მსახიობებსაც. სულ უცბად, თითქოს ვულკანმა ამოხეთქაო, მანამდე რომ ბორიზონტზე არავინ ჩანდა, ახლა გამოჩნდნენ ძლიერი ნიჭის ადამიანები, ერთი მიზნით გამსჭვალულნი და სხვადასხვა ხელწერის ხელოვანნი. მეტიც შეიძლება ითქვას. კოტეს გამოჩენის შემდეგ უკვე ცნობილ რეჟისორებსაც კი აღარ შეეძლოთ ემუშავათ ძველებურად. მათაც ათასი თავსატეხი და საზრუნავი გაუჩნდათ.

კოტე მარჯანიშვილმა შექმნა რუსთაველის თეატრი, რომელიც შემდეგ მისი უნიჭიერესი მოწაფის დიდი რეჟისორის სანდრო ახმეტელის ხელმძღვანელობით ახალ სიმაღლეზე ავიდა. კოტემ შექმნა თავისი სახელობის თეატრი, რომლის მოღვაწეობაშიც მთელი სიძლიერითა და სილამაზით გამოჩნდა დიდი რეჟისორის ნიჭის მშვენიერება.

მარჯანიშვილის სპექტაკლებმა აამაღლეს ქართული თეატრალური კულტურა და მთელი საზოგადოებრივი აზრი მოძრაობაში მოიყვანეს. კოტეს საუკეთესო სპექტაკლები დღესაც მსოფლიო სასცენო ხელოვნების მწვერვალებს მიეკუთვნება, მათ დღესაც არ დაუკარგავთ ღირსება — გაამდიდრონ ჩვენი თეატრალური შეგნება და გამოიწვიონ ახალი ფორმების ძიება.

მარჯანიშვილის თეატრის მიღწევებით თავბრუდახვეული თეატრალური საზოგადოებრიობა ერთსულოვნად აღიარებდა, რომ თავისი მაღალი კულტურით, მდიდარი გამომგონებლობით, დახვეწილი გემოვნებით ამ თეატრმა დიდად გაუსწრო დროს, რომ მარჯანიშვილმა თანამედროვე პირობებში, ერთ-ერთმა პირველმა გადაჭრა სწორად ეროვნული თეატრის პრობლემა, რომ ეროვნულ ტრადიციებზე დაყრდნობით ქართული თეატრი მაღალსაკაცობრიო სიმაღლეზე აიყვანა.

შემთხვევითი როდია, რომ კ. მარჯანიშვილის „ურიელ აკოსტა" დღესაც ახალივით აჟღერდა და სრულყოფილი მხატვრული ფორმებით დღესაც დაატყვევა როგორც ქართველი, ისე რუსი — მოსკოველი და ლენინგრადელი მაღალმომთხოვნი მაყურებელი.

ქართული თეატრი იცავს და ავითარებს მარჯანიშვილის სახელოვან ტრადიციებს. იმ გამარჯვებებში, რომლებსაც ახლა ჩვენი თეატრი აღწევს, მუდამ ვეკვრეტთ დიდი რეჟისორის აჩრდილს. ჩვენი წინსვლისათვის მახაც ვუმადლით.

მარჯანიშვილის მიერ გადაგდებული თესლი კვლავ ღვივის და იფურჩქნება.

ერემია ჟარელიშვილი

ᲕᲣᲙᲐᲚᲘᲣᲕᲘᲚᲘ ᲔᲠᲒᲕᲘᲗᲚᲘᲡᲬᲠᲝᲜᲚᲘᲡ ᲗᲕᲘᲗᲠᲔ

ᲛᲔ ᲠᲔᲟᲘᲡᲝᲠᲘ ᲕᲐᲠ...

მაშ ასე, 1903-4 წელი ჩემი აქტიორობის უკანასკნელი წელიწადია!

გამარჯვებამ რეჟისორობაში, თავმჯდომარეობამ ოცდაათი წლის ახალგაზრდისა, რომელიც სრული ბატონ-პატრონია დიდი თეატრისა, საბოლოოდ გადასწყვიტა ჩემი სვე-ბედი: ამიერიდან მე მხოლოდ რეჟისორი ვარ!

მეტი ზავთიანობისათვის წვერი მოვუშვი და ასე მოვეევლინე 1904 წელს მოსკოვის თეატრალურ ბაზას: სხვათა შორის, წვერი ძალიან საჭირო იყო: თუმცა ოცდაათის წლისა ვიყავ, მაგრამ გარეგნობა, ცოტა არ იყოს, ქათმის ჭუჭულისა მქონდა. აბა, რა შთაბეჭდილებას მოვახდენდი გარეგნობით იმ დარპაისელ აქტიორებზე, ვისთვისაც მე უნდა მეხელმძღვანელა? არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს იყო პერიოდი რუსულ თეატრში გაჩაღებული ბრძოლისა დამოუკიდებელი რეჟისურის დამკვიდრებისათვის.

ᲑᲝᲠᲙᲘᲛ ᲛᲔ ᲓᲐᲛᲘᲯᲔᲠᲐ

მახსოვს, „წითელი მანტიის“ ერთ-ერთ რეპეტიციას დავესწარი. პიესას დადგამდა ნეზლობინი, მთავარ როლებს ამ პიესაში თამაშობდნენ თვითონ ნეზლობინი და ანდრეევა. მე არ დამაკმაყოფილა როლების მათმა განმარტებამ, და, რადგანაც მკითხეს, რა აზრის ვიყავი, მე, ცოტა არ იყოს, დარცხვენით გამოვთქვი ჩემი მოსაზრებანი. პიესის გარჩევამ ისე გამიტაცა, რომ ვერ შეეწინშნე, როგორ შემოკრებილიყო ჩვენს გარშემო მთელი დასი. მოსულიყო გორკიც. გავათავე ჩემი სათქმელი და უეცრად თვალი შეკავლე გორკის, რომელმაც მომმართა: „თქვენც აიღეთ და ხელახლა დადგით პიესა“ („А вы бы взяли да переставили пьесу!“)... გორკიმ, იმ მაქსიმ გორკიმ, რომელსაც ყველა აღმერთებდა, რომლისადმი თაყვანისცემის გრძნობა დღემდისაც ცოცხალია, მე დამიჯერა!.. თავბრუ დამესხა...

გადასწყვიტეს, რომ რიგაში „წითელ მანტიის“ დადგმაში მე საჭირო შესწორებას შევიტანდი. ამის შემდეგ ალექსეი მაქსიმოვიჩი ძალიან ხშირად ესწრებოდა ჩემსა და ნეზლობინის თათბირებს წინამდებარე სეზონის გამო.

ᲛᲝᲡᲬᲠᲔᲒᲣᲚᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ

არ შემიძლიან არ გავიხსენო სტარაია რუსაში მომხდარი ერთი ანეკდოტური ამბავი. გორკის ერთ-ერთი პიესის რეპეტიციაზე ვიყავი. ვზივარ პარტერში, ვაკვირდები მსახიობებს. თურმე ლოჟაში, ფარდის იქით ზის მაქსიმ გორკი. ერთ-ერთი მსახიობი — ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე მიხაილოვსკი — შვილი ცნობილი პუბლიცისტის ნ. კ. მიხაილოვსკისა, აცხადებს პიესის გამო: „დასწყეველოს ეშმაკმა! რა პიესაა! როგორა სწერს ნიჭიერი ადამიანი ასეთს საძაგლობას?“ მოულოდნელად ლოჟის ფარდა გადაიწევა და გამოჩნდება გორკის სახე: „ხომ მიგეხსენებათ, ხდება ხოლმე, რომ ნიჭიერ მამას სულელი შვილი ებადება!“...

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲐ

პირველი წარმოდგენა! არ გაგვიმართავს საჯარო გენერალური რეპეტიცია, როგორც ეს მოსკოვშია მიღებული. ამიტომ დარბაზი სავსეა ეგრეთწოდებული მხატვრული მოსკოვით; ეგრეთწოდებულივე დიდი პრესა, საუკეთესო კრიტიკოსები, მთელი სატახტო ქალაქის რეჟისურა, არტისტები, მწერლები, მხატვრები, კომპოზიტორები, მუსიკოსები და, რასაკვირველია, მთელი პლუტოკრატია — ყველა აქ არის...

გადაიწია ფარდა — დარბაზში სიჩუმეა. ისე მაქვს დაძაბული ნერვები, რომ საშინელებაა... მაგრამ წარმოდგენა მტკიცედ მიმდინარეობს...

ანტრაქტია — არაფერი მახსოვს... გამოწვევა, ოვაციები, ხელის ჩამორთმევა, კოცნა... გონს მოვეელ მხოლოდ კაბინეტში, სადაც მოვიდნენ ჩემთან გასაცნობად სტანისლავსკი, ნემიროვიჩი, იუჟინი. აუარებელი მსახიობი, კრიტიკოსები... მოლოცვები, ქება და განცვიფრება, რომ პროვინციულმა თეატრმა შესძლო ეჩვენებინა მოსკოვისათვის ასეთი წარმოდგენა. ფ. ა. კოროში იქვე თავის თეატრში მიწვევს, მაგრამ მე განვუცხადე, რომ ნეზლობინს არ დავტოვებ.

წარმოდგენის შემდეგ მოულოდნელად ბანკეტი მოეწყო „პრაღაში“. სწორედ ერთი წლის წინათ ყველასათვის უცნობი, ნახევრადმშიერი მსახიობი და ახლად-დამწყები რეჟისორი დღეს იმავე მოსკოვში ვისმენდი პროფესორების, კრიტიკოსების, არტისტებისა და თეატრის ფასმდებელთაგან სადღეგრძელოებს და ქათინაურებს. არის ადამიანის ცხოვრებაში დიდებული დღეები! მოსკოვმა თითქოს მცნო მე!

ᲕᲬᲔᲠᲓᲘ ᲘᲛᲐᲕᲔ ᲛᲔᲠᲮᲖᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲖᲔᲓᲐᲪ ᲠᲣᲡᲝ ᲬᲔᲠᲓᲐ.

ევროპის სხვადასხვა კუთხეში ორი თვის ხეტიალის შემდეგ ჩავედი შვეიცარიაში — კლარანსში, ჟენევის ტბის ნაპირას, სადაც ამ დროს ჩემიანები ცხოვრობდნენ. მეზობლად ცხოვრობდა იდა რუბინშტეინი, რომელმაც მომმართა თხოვნით, მომემზადებინა იგი უალდის „სალომეას“ პარიზში დასადგმელად სალომეს როლში. ცეკვას უდგამდა მ. მ. მორდკინი. დეკორაციები ბაქსტმა დაუწერა.

აქვე, კლარანსში დავიწყე ჩემი „მკვდართა კუნძული“, რომელიც ისევე როგორც სხვა ჩემი ნაწერები, არასდროს დასაბეჭდად განზრახული არა მქონია და არცა მაქვს. ამ დრამატულ პოემას დიდის გატაცებით ვწერდი, მით უფრო, რომ ვწერდი იმავე მერხზე მჯდომი და იმავე ჭანდრის ქვეშ, ტბისპირად, სადაც ჟან-ჟაკ რუსსო წერდა თავის „ახალ ელოიზას“.

ასე გაიარა დრომ აგვისტომდე, როდესაც იტალიას მივაშურე. მაგრამ იტალიაში ხელოვნებაზე მუშაობა როგორღაც მეჩოთირა. აქ თითოეულ ნაბიჯზე გაფანტულია დიდებულ ხელოვანთა აუარებელი ნაწარმოები, და მათ გვერდით ქონდრის კაცის შემოქმედება მას თვითონვე სირცხვილში აგდებს.

ახლოვდებოდა სეზონი და მე ოდესისაკენ გავსწიე.

ᲩᲔᲛᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲒᲚᲝᲡ ᲛᲯᲝ

მე ვგრძნობდი, როგორ იღვიძებდა ჩემში ჩემი სამშობლოს მზე.

დიახ, თითქოს ცხადად ვგრძნობდი მისი მცხუნვარე სხივების ფრქვევას! გულითადი მადლობა დიად რუსეთს! მან მომცა დიადი ჩაწვდომის უნარი, უნარი ადამიანის სულის კუნჭულებში ჩახედვისა. რუსეთმა მიმაჩვია ჩემი არსების შიგნიდან ცხოვრების განჭვრეტას, მის მზერას ჩემივე სულიდან და ეს ჭქმნა ვრუბელმა! მან მასწავლა ჩემს მკერდში შეუცნობ ქვითინთა გაგება,

ეს ჭქმნა სკრიაბინმა! გულითადი მადლობა მას, ჩემს პეორე საშობლოს, მადლობა მშვენიერ რუსეთს! მაგრამ მის მშვენიერ სუსხიან დღეებს არ ჩაუქლავთ ჩემში მოგონებანი მშობლიური მთების ქვათა მხურვალებაზე. მის თილისმურ თეთრ ღამეებს არ გაუცაგებიათ შავი, ხავერდოვანი, მეღერადი ვარსკვლავებით უხვად მოოჭვილი ცის მედიდურება. მის მშვიდ გულკეთილობას წუთითაც არ გაუნელებია მშობლიური რიტმები, ქართული ტემპერამენტი, ფანტაზიის თავშეუკავებელი სრბოლა, რაც მომცა მე ჩემმა პატარა, საყვარელმა საქართველომ!

ახლა მე უკვე ვამთავრებდი კეთილისმყოფელი ძიების პერიოდს და გამოვდიოდი დამოუკიდებელ გზაზე.

ჰეშმარიტად, „ცხოვრების ბოჭკალებში" პირველი ჩემი ქართული წარმოდგენა იყო.

თეატრის უკვდავების საიდუმლოება

თეატრს აქვს ერთი საოცარი თვისება, რომელიც არც ერთ სხვა ხელოვნებაში არ მეორდება; ეს ისაა, რომ მსახიობის შემოქმედება, ერთი მხრით, და ჩვენი, მაყურებელის ათვისება, მეორე მხრით, ერთსა და იმავე დროს ხდება. ყველა სხვა ხელოვნებაში შემოქმედის მიერ განცდის აბსტრაქტულ სახეს ჩვენ ვღებულობთ გაცილებით უფრო გვიან, როგორც მისი კრეატორის და ავტორის ნაყოფს, ხოლო მსახიობის სულს ჩვენ უშუალოდ ვიხილავთ, თვით მხატვრული აღელვების ჩასახვის წამში. აქაში არის ისეთი [illegible] საიდუმლოება, ისეთი ძალა, რომელიც არც ერთ სხვა ხელოვნებას არა აქვს. და რა არის საკვირველი ამის შემდეგ, რომ ჩვენ ყველაზე მეტად გვიყვარს ისინი, ვინც თავისი მეობის უმაღლეს წუთს, შემოქმედების მომენტში ნებას გვაძლევს მივუახლოვდეთ მის სულს და, ამრიგად, თითქოს გავინაწილოთ მისი შემოქმედების საიდუმლოება.

აი, აქ არის არსებითი განსხვავება კინოსა და თეატრს შორის. აი, ამის გამო არის, კინო მაქსიმალური მიღწევის დროსაც ვერ გასწევს თეატრის მაგიერობას. ამიტომ არის, რომ თეატრი არასდროს არ მოკვდება, რაც უნდა ილაპარაკონ ამის შესახებ.

ელეონორა დუზეს ხელები

ელეონორა დუზე დიდი ხელოვანი იყო, უდიდესი თეატრალური შემოქმედი.

მთელი მისი ტანი მეტყველებდა, მთელი თავისი არსებით იგი გადმოგვცემდა სიხარულს ან მწუხარებას. პახსოვს, [illegible] პირველად ხელში ჩამიკარდა დ'ანუნციოს წიგნი „მკვდარი ქალაქი", მე მეწყინა ავტორის ვულგარული მიძღვნა — „ელეონორა დუზეს მშვენიერ ხელებს". მაგრამ, როცა შემდეგ ვნახე ეს ხელები, მე მივხვდი ამ მიძღვნის დიდ მნიშვნელობას.

მართლაც, ეს მშვენიერი ხელები მეტყველებდნენ და შეუდარებლად გადმოგვცემდნენ ყველა მისი გრძნობის უნაზეს ნიუანსს. როგორ შეიძლება ამ ხელების დავიწყება „სასტუმროს დიასახლისში", როცა იგი მათ საკოცნელად უწვდის სამ კავალერს, ეს ხელები დასცინოდნენ სულელებს, იმდენი ირონია იყო მისი თითების ყოველ მიმოხვრაში.

როგორ უნდა ვითამაშოთ ჰამლეტი

ჰამლეტიდან დაწყებული აჩრდილამდე ყველანი ადამიანები უნდა იყვნენ.

თეატრალურად მომაკვდინებელი შეცდომა იქნება, რომ მარტო „ჰამლეტის" მშვენიერებას და სიდიადეს დავემყაროთ და ვიფიქროთ, რომ ამით გამარჯვებას მოვიპოვებთ. საქმე ის არის, როგორ ვითამაშებთ ამ უაღრესად ფილოსოფიურ ტრაგედიას. უნდა ვითამაშოთ ისე, რომ თეატრალობას, სცენიურ სიმართლეს არც ერთი წუთით არ ვუღალატოთ და მაშინ ჰამლეტის ფილოსოფია ყველასთვის გასაგები იქნება. რა არის ამისათვის საჭირო? — ადამიანური გრძნობა და კიდევ და კიდევ ადამიანური გრძნობა.

ჰამლეტი, ჩემი აზრით, უწმინდესი ადამიანია — სინდისი, რომელიც მოჯადოებულ წრეში ჩავარდა: იგი სტანჯეს, თვით იტანჯა და როდესაც სინდისმა-მსაჯულმა თავის გარშემო ყოველივე სიდამპლე ამოაშრო, ის უკვე გაცდა ამ ბრძოლაში და სამოქმედო ასპარეზს ახალს, უფრო ძლიერ ფორტინბრასს უთმობს.

მთავარი პირობა: ჰამლეტის შესახებ კრიტიკული წერილების კითხვას თავი დანებებეთ, განსაკუთრებით ჰამლეტის შემსრულებელმა, და მხოლოდ თქვენს სახეებზე იფიქრეთ...

სტილი დაირღვევა? დაე, დაირღვეს...

თვით შექსპირს სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემა მრავალნაირად აქვს დაყენებული: იმდენად ძლიერია ჯანსაღი სიცოცხლის შეგრძნობა, რომ ადამიანი საფლავის თხრის დროსაც კი დასცინის სიკვდილს. ეს სიხარული, ეს სიცილი მაყურებელსაც უნდა ვაგრძნობინოთ და აქ რაც უფრო მახვილი იქნება ფორმა, მით უკეთესია.

მაგრამ როგორ შეგვძლოთ ეს? რა საშუალება აქვს ამისათვის ჩვენს კოლექტივს? რა თქმა უნდა, არა დანის პესაფლავეთა ასახვა, რომელთა სახეებს ვერ ვიცნობთ, არამედ საკუთარი წიაღიდან გამოსვლა. ასეთი ხერხით მიზანს უფრო მივაღწევთ. მესაფლავეთა ფილოსოფია მსოფლიოში ხომ ერთია?... რა იქნება, რომ იმერელი და კახელი მესაფლავე ვათამაშოთ? სტილი დაირღვევა? დაე, დაირღვეს, ოღონდ ეს სიხარული და სიცილი გამოვიწვიოთ. ნუ შეშინდებით, ეს ჩემი დანაშაული იყოს!

„ცხვრის წყაროს"

(სიტყვა პირველი რეპეტიციის წინ)

ისტორიულ ექსკურსს რომ არ გამოვუდგეთ და ჩვენი ახლო დროის თეატრებს გადავხედოთ, შეგვიძლია შემდეგი დასკვნა გამოვიტანოთ: თეატრი და არტისტი დასცილდა თავის პირდაპირ დანიშნულებას. იგი იქცა არა ცხოვრების სამკაულად, სიხარულად, დღესასწაულად, არამედ მოსაწყენ ნივთად, ყოველდღიურ ილუსტრაციად, სამუზეუმო ნაშთად, რომლის გადალახვის შემდეგ შეიძლება შეიგრძნოთ ხელოვნება. ხელოვნება კი უშუალო წყარო და მიზეზია ზემოქმედებისა. არავითარი ტრაქტატით არ იქნება თქვენთვის მისაღები ბეთჰოვენი, მოცარტი, თუ ვერ იგრძენით გულით მათი ნაწარმოები.

ხელოვნება ყოველთვის აღელვებს ადამიანის გულს. ეს თუ ასეა საერთოდ ხელოვნებაში, თეატრში — მით უმეტეს, რადგან თეატრი უშუალოდ ჰქმნის პირდაპირ მაყურებლის თვალისწინ სპექტაკლს, ხელოვნურ ნაწარმოებს. მაშასადამე, აქ უფრო რთული პრობლემის წინაშე ვდგავართ იმ მხრივ, რომ ისე მოკაზადოთ სპექტაკლი, მაყურებელი ჩავითრიოთ შემოქმედების პროცესში, ოღონდ თეატრის შემოქმედება იმ დროს იწყება და იმ დროს თავდება, როდესაც ფარდა აიწევა და დაიხურება.

ჩვენს წინაშე ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყაროა". რით არის იგი საინტერესო? უპირველეს ყოვლისა, თანამედროვეთათვის, რადგან თანამედროვეობის გარეშე თეატრი არ არსებობს.

ნუთუ იმით არის საინტერესო ეს პიესა, რომ სოფელ ცხვრის წყაროს გლეხებს ავიწროვებს კალატრავის ორდენის ტირანი და შემდეგ კონფლიქტში კეთილმოწყალე მეფე ჩაერევა და თავის კურთხეულ ხელით ხალხს ტირანის მკვლელობას აპატიებს?!

არა, ამით კი არა, არამედ [illegible] სიუჟეტის ისეთი გამოყენებით, რომ დღევანდელი მაყურებელი დაეარაზმოთ. ხალხს თუ რაიმე საფრთხე მოელის, მან კოლექტიურად გასცეს პასუხი მტერს. მაშინ მსახიობების კითხვაზე — ვინ მოკლა გომეცი? პარტერიდან მივიღებთ გულწრფელ შეძახილს:

— ფუენტე ოვეხუნა!

აი ჩემი დაკვეთის მიზნობრივი მხარე.

შემდეგ... საქმე მარტო სიუჟეტი, ე. ი. ის კი არაა, „რას თამაშობ", არამედ — „როგორ თამაშობ"... აი ამ „როგორ თამაშში" მეღავნდება ფორმაც და შინაარსიც... როგორ უნდა ვითამაშოთ „ფუენტე ოვეხუნა"?...

ყოველი მსახიობი უპირველეს ყოვლისა თეატრალურ, არტისტულ სიხარულს უნდა განიცდიდეს და შემდეგ წარმოადგენდეს დაკისრებულ როლს, არა ფსიქოლოგიური დაწვრილმანებით, არამედ არტისტული ნერვით. ამ მხრივ შექსპირის შემდეგ ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო" შესანიშნავ მასალას იძლევა თეატრალური ქმედობისათვის, ვინაიდან ერთი ფერით კი არ არის პიესა დაწერილი, არამედ მასში სინათლე და ჩრდილი ელვასავით ენაცვლებიან ერთმანეთს მთელი პიესის მანძილზე. აჰა, თითქოს ესა თუ ის ადგილი უმაღლეს ტრაგიზმამდე ავიდა და... მას კომიკური მდგომარეობა ცვლის, აი ეს მთავარი ხაზი პიესისა უნდა დავიცვათ თითოეული როლის განსახიერების დროს. მაშინ სპექტაკლი მოსაწყენი აღარ იქნება და ერთიანობასაც თავს დავაღწევთ.



კოტე მარჯანიშვილი.

დავით გაბიტაშვილი

ხევსური.

საქართველოს სს რესპუბლიკის დამსახურებული მხატვრის დავით გაბიტაშვილის შემოქმედებას ჩვენი საზოგადოებრიობა კარგად იცნობს. მისი ნამუშევრები მუდამ იქცევენ ყურადღებას როგორც რესპუბლიკურ, ისე საკავშირო გამოფენებზე.

მხატვრისათვის მთავარია გადმოსცეს თავის ტილოებზე საბჭოთა ეპოქის სული, მისი ადამიანების მისწრაფებები; იგი აცოცხლებს თავის ქმნილებებში საქართველოს ბუნების თვალწარმტაც სურათებს; მისი უაღრესად შინაარსიანი ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები, იმავე დროს, მეტყველებენ ავტორის მაღალ ოსტატობაზე, იმ შესანიშნავი რეალისტური ტრადიციების ორგანულ ათვისებაზე, რომელიც საფუძვლად უდევს საბჭოთა სახვითი ხელოვნების ზრდასა და წინსვლას.

დავით გაბიტაშვილი წარმატებით მუშაობს დეკორატიული მხატვრობის დარგშიც.

ამჟამად მხატვარი მუშაობს ნაწარმოებთა ახალ ციკლზე, რომელიც ეძღვნება საბჭოთა კავშირის შექმნის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს.

სვანეთი.

პეიზაჟი.

ლეონარდო და ვინჩის პორტრეტი.

ნატურმორტი.

მზის ჩასვლა

ჯიგლოგიანი ჯაჯიტოლინა

მხატვარი თ. სამსონაძე

რამაზ კობიძე

მოთხრობა

— მამაჩემმა ასეთი უკუღმართი სახელი რომ დამარქვა, ამიტომ გამოვედი მეც ასეთი წყალწაღებულიო, — თქვა ერთხელ კაპიტოლინა ცენტერაძემ. იმ წუთში რაღაც უცნაურ ხასიათზე იყო და თავისთავზე სიმართლე წამოსცდა. სხვა დროს კი მისგან ასეთ სიტყვებს ვერ გაიგონებთ. სხვა დროს ამ ქვეყანაზე მარტო ის ერთია ჭკვიანიც, განათლებულიც და პატიოსანიც. სხვები — ყველანი უზნეონი, უმაქნისნი და უმეცარნი არიან.

შესახედავად კაპიტოლინა ნამდვილად ღმერთს არ უქნია. ერთი რაღაც უფერული, გამხდარი, ჭრელთვალება და ძვალმსხვილია. არა, ადამიანი უსახურობით არ დაიწუნება. მაგრამ ამას უსახურობასთან ერთად სიბოროტეცა სჭირდა. მისი საქციელის შემხედვარე იფიქრებდით, ეს ქალი ამ ქვეყნად მარტო იმისათვის მოსულა, რომ გარშემო მყოფებს სიცოცხლე გაუმწაროსო.

ცოდნა დიდი არაფერი ჰქონდა. ძლივს რაღაცა ორწლიანი კურსები მოახრჩო ქუთაისში. დიპლომის მიცემასაც არ უპირებდნენ, მაგრამ ჩვენი აღმასკომი ჩაერია — გვიშველეთ, სკოლაში მასწავლებლები გვაკლია, ოღონდ მაგას უდიპლომოდ ნუ გამოუშვებთ და მერე ჩვენს გლახას ჩვენვე მოვუვლითო. დიდის ვაივაგლახით, როგორც იქნა, ერთი დიპლომი საკაპიტოლინოდაც გამოიმეტეს და ჩვენს სკოლაში მასწავლებლად გამოამწესეს.

შემოდგომაზე სკოლაში სწავლა დაიწყო და იმავე დღეს კაპიტოლინას საქციელი მთელი სოფლის სალაპარაკო შეიქნა. სკოლაში კოჭებამდე ჩაფართხუნებული შავი კაბით გამოცხადდა, — მოკლე და მხიარული ფერის კაბა რომ ჩაიცვა, მოწაფეები — ვითომ ვაჟები, — აღელდებიან და სწავლას გულს ვეღარ დაუდებენო. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. ამასთან კიდევ ერთი, ყოვლად უმსგავსო საქციელიც ჩაიდინა.

დილით სკოლისაკენ მიმავალი კაპიტოლინა სხვა მასწავლებლებს წამოსწევია. ამ მასწავლებლებში ერთი ქალაქელი გოგონა — იამზე ერია. კარგი მოგეცათ, კარგი ის გოგო იყოს: ზრდილობიანი, გულისხმიერი, მცოდნე. ქალაქიდან სწორედ იმ შემოდგომაზე გამოამწესეს. ერთხელ დედ-მამამაც ჩამოაკითხა. ეტყობოდა, სათუთად ნაზარდი ჰყავდათ და უიმისობა გაუჭირდათ.

კაპიტოლინამ გზად მიმავალ იამზეს ხელი გაუყარა და მეგობრულად მოიკითხა, — როგორა ხარო. სკოლამდე ასე, ტკბილი მასლაათით მივიდნენ. მაგრამ როგორც კი სამასწავლებლოში შეაღწიეს, უცბად კაპიტოლინამ იამზეს ხელი გამოაცალა, სკამთან მივარდა, ზედ დაასკდა და ცივი ხმით იკივლა:

— წყალი! მიშველეთ! წყალი!...

მასწავლებლებმა იფიქრეს, ეს ქალი ჭკუიდან ხომ არ შეიშალაო.

— რა იყო, კაპიტოლინა, რა დაგემართა?!..

— წყალი!.. წყალი-მეთქი! ერთი ამას შეჰხედეთ!.. ბარემ მუხლებიც გადმოჰყაროს! წყალი! მიშველეთ!... მე მოწაფეები ვზარდო, მე ისინი სწორ გზაზე დავაყენო და ამან... ამან... უიმე, ამას რას ვხედავ!..

საწყალ იამზეს ფერი ეცვალა. კუთხეში მიიჭუჭყა და გულსაკლავად ატირდა. არადა, ისეთი არაფერი კაბაც არ სცმია, — უბრალო ღვინისფერი შალის კაბა ეცვა, როგორსაც ყველა ქალები იცვამენ.

სხვა მასწავლებლები კაპიტოლინას მივარდნენ,

— ქალო, რა გაკივლებს, რა მოგივიდა, შენი თავისად გგონიაო. მაგრამ — თქვენც არ მომიკვდეთ! რომ გაბა, გაბა და გაბა! ბოლოს კი წამოხტა და მაგიდას მუშტები დაურთო, — ახლავე, ამ წუთში წავიდეს და კაბა გამოიცვალოს, თორემ არაფრისდიდებით გაკვეთილზე არ შეეკალ და ამ ბავს რაიონსა და სამინისტროს შევატყობინებო.

ხომ არ ეხუმრებით, ნასწავლი ქალი ბრძანდება! დიდი გზები იცის! მაგ უდღეურს, ალბათ, ქუთაისში ასწავლეს, მასწავლებელს წესიერად უნდა ეცვასო, ამან კი სათავისოდ გამოიყენა. იფიქრა, ამ გოგოს მე ცოდნითა თუ ბავშვებთან მიდგომით ვერ ვაჯობებ და ისევ სხვანაირად უნდა დავჩაგროო.

ერთი სიტყვით, ჩვენი სკოლის დირექტორმა ვარლამ დიდებულიძემ დიდი გაჭირვებით დააშოშმინა. პირდაპირ ემუდარა, ამ შენს წივილ-კივილს მოწაფეებს ნუ გააგონებო. კაპიტოლინას რომ ამას ეუბნებოდა, ვარლამი თან იამზეს თვალს უპაჰუნებდა — ყურადღებას ნუ მიაქცევ, მაცალე, და მე მოვუელი ამასო.

როგორც იქნა, დიდი ვაივაგლახით კაპიტოლინა დააშოშმინეს. წამოდგა, ერთი ყლუპი მოსვა, — კითომდა, გული ცუდად მაქვსო, იამზეს მიუბრუნდა და თითის აწევით უთხრა:

— მე, ჩემო კარგო ქალაქელო გოგონა, ამხანაგობაც ვიცი, მეგობრობაც და გატანაცო. შენ აქ ახალი ადამიანი ხარ და თუ რამეში დაგჭირდები, წრფელი გულით გიმეგობრებო. მაგრამ ეს კი იცოდე ჩემგან, — არც ერთ შეცდომას, იოტისოდენსაც კი არ გაპატიებ და საერთო საქმის სარგებლობისათვის, ჩვენი მოზარდი თაობის ინტერესების გულისათვის ყოველთვის პირუთვნელად და დაუნდობლად გაგაკრიტიკებო.

საკლასო ჟურნალი აიღო თურმე, და დიდის ამბით სამასწავლებლოდან გამობრძანდა.

ვარლამი და სხვა მასწავლებლები ახლა საწყალ იამზეს მივარდნენ და იმ უმსგავსოს მაგიერად ბოდიშის მოხდა დაუწყეს. ასეც უნდა ექნათ. ქალაქელი მასწავლებლები მაინცდამაინც არ გვანებივრებენ; სოფლისაკენ პირს ათასში ერთი თუ იზამს და თუ ვინმე ხეირიანს ეღირსე, უნდა გაუფრთხილდე...

იამზეს თავისი სიკეთე აქაც გამოუჩენია. უთქვამს, რა ვუყოთ, ცხოვრებაში ყველაფერი შეგხვდება და უნდა აიტანოო. ჟურნალი აუღია, ცრემლები მოუბანია და თავის კლასში წასულა.

ვარლამ დიდებულიძე მეორე დღესვე რაიონში გაიქცა და ითხოვა, ის ჯოჯოხეთის მაშხალა მომაშორეთ, თორემ სკოლაზე პასუხს არ ვაგებო.

განათლების განყოფილების გამგემ ჯერ უსმინა გაცეცხლებულ ვარლამს, უსმინა, უსმინა, მერე წამოვარდა და მაგიდას მუშტი დაახალა: თქვენ არ იყავით, ტვინი რომ ამომჭამეთ, ადგილობრივი კადრები და დიპლომიანი მასწავლებლები გვჭირდებაო?!.. ეგეც თქვენ ადგილობრივი და ეგეც თქვენ დიპლომიანი! მაგ თქვენ კაპიტოლინა ცენტერაძეს ახლა დიპლომი უდევს ჯიბეში და თანამდებობიდან მე კი არა, მამა ღმერთიც ვეღარ მოხსნის. გაბრუნდი, ძმია, როგორც გინდოდეს, ეგ ქალი მასწავლებელს ისე დაამსგავსე, და სანამ დირექტორობიდან არავის გაუთავისუფლებიხარ, სოლაზეც, მასწავლებლებზეც და მოწაფეებზეც პასუხს შენ აგებო.

საწყალი ვარლამი კრიჭაშეკრული დაბრუნდა რაიონიდან.

იმ დღიდან დაიწყო.

იმ ქუსლმოქცეულმა საიდანღაც გაიგო, ჩემი მოხსნის უფლება აღარავისა აქვსო და... როგორც იტყვიან, გაამინდვრა; სიტყვები არ გეყოფათ იმის ასაწერად, თუ რამდენ უმსგავსობას სჩადიოდა. განსაკუთრებით იამზე ამოიჩემა, თანაც — დაუკვირდით, — ერთხელაც არ წამოსცდენია, მე ეგ გოგო მძულს, მაგისი მტერი ვარ და არ გავახარებო. არა, პირიქით, ყოველ ნაბიჯზე სიყვარულს ეფიცებოდა და თან ყოველ ნაბიჯზე „საერთო საქმისა და მოზარდი თაობის ინტერესებისათვის“ პირდაპირ სიცოცხლეს უმწარებდა. ისეთი ამ ქვეყნად არაფერია, რომ კაპიტოლინას იმ გოგოსათვის არ ეკადრებინოს.

ერთხელ სკოლაში მასწავლებლების ნაკლებობა შეემთხვათ და ვარლამმა გადაწყვიტა, იამზეს კიდევ ერთ კლასს მივუმატებ, მოსწავლეებისთვისაც კარგი იქნება და გოგოსაც ხელფასი მოემატებაო. ვარლამმა იცოდა, რომ კაპიტოლინა ერთ აურზაურს ასტეხდა, და მასწავლებლებს მოეთათბირა, მხარი ერთსულოვნად დამიჭირეთ, რომ მაგ შავ დღეზე გაჩენილს ვაჯობოთ და საქმე აღარ გამიჯანჯლდესო.

პედაგოგიური საბჭო შეღამებულზე შეიკრიბა. კაპიტოლინა თავის გრძელ შავ კაბასა და შავ ხელთათმანებში გამოწყობილი (იმ ხანებში ხელთათმანების ტარებაც დაიწყო) ყველაზე ბოლოს შემობრძანდა, კუთხეში დაჯდა და დამსწრეები რაღაცნაირად, მხიარულად შეათვალიერა. ვარლამმა მას ყურადღება აღარ მიაქცია, საბჭოს სხდომა გახსნა და განაცხადა, იამზეს კიდევ ერთი, მეშვიდე კლასი უნდა მივუმატოთო.

— კარგი საქმე იქნება, — შეაშველეს აქეთ-იქიდან.

— კაცმა რომ თქვას, ეგ მარტო დირექტორის საქმეა, მაგრამ რაკი ჩვენ პატივს გვცემ და გვატყობინებ, კეთილი. თანახმა ვართ და მხარს გიჭერთ!

— იამზესთვისაც კარგი იქნება, მოსწავლეებისთვისაც და მთელი სკოლისათვისაც.

გაწითლებული იამზე კუთხეში, თავჩაღუნული იჯდა და სიხარულის ღიმილს ვერ იკავებდა.

— მაშ გადაწყვეტილია! — მოსჭრა ვარლამმა. მაგიდიდან რაღაც უნდა აეღო. იმ წამსვე რაღაც საშინელი ბრაგვანი მოისმა. გულგახეთქილებმა მიიხედეს და დაინახეს: კაპიტოლინა იატაკზე გათხლაშულიყო და უძრავი თვალები ჭერისთვის გაეშტერებინა. ფეხები გაეჩაჩხა და ხელებიც ფართოდ გაეშალა.

— არიქა! — ვარლამმა ამის დაძახებაც ძლივს მოასწრო. ყველანი წამოიშალნენ, კაპიტოლინას მივარდნენ, წამოაყენეს, სკამზე დასვეს, წყალი აპკურეს და თითქოს მოასულიერეს. მაგრამ იმან თვალები უაზროდ მიატრიალ-მოატრიალა და... თავი ისევ მწიფე მტევანივით ჩაჰკიდა.

— რა დაემართა?... — ვარლამი მაგიდასთან წელში მოხრილი იდგა და ეს იქიდან იკითხა.

მას არავინ უპასუხა. ყველანი და თვითონ ვარლამიც მიმხვდარი იყო, რომ კაპიტოლინა მსახიობობდა.

— აბა, წყალი კიდევ ასხურეთ!, — მიაძახა ვარლამმა, თვითონ სკამზე დაჯდა, წყალი დაისხა და

ქოსვა. სულო ცოდვილო, ხელები, თურმე, ძაიხ-ცა ეკანკალებდა.

— ვაიჰ!.. — ამოიკვნესა კაპიტოლინამ და მინა-ბული თვალები ვარლამს მიაპყრო, — წყალი... წყალი მიშველის?!.. მე ახლა... წყალი მიშველის?!.. კაიჰ!...

და ისევ თავი ჩაჰკიდა.

ვარლამმა ხელი ჩაიქნია, წამოდგა, კუთხეში მი-ვიდა. გაჩერდა და გულხელი დაიკრიფა. რა უნდა ექნათ? ხმაგაკმენდილები იდგნენ, ხან ერთმანეთს მისჩერებოდნენ და ხან კაპიტოლინას. მეტი არა-ფერი.

იამზე უცბად წამოხტა, გავარდა და კარი გაი-ჯახუნა.

მას არავინ დადევნებია. სულო ცოდვილო, ზოგ-მა, იქნებ, ისიც იფიქრა, — ეჰ, ჩემო იამზე, შენგან გვჭირს ეს ყველაფერი, ვითუ, ისევ ის სჯობდა, სხვა შენი ტოლებივით შენც ქალაქში დარჩენილი-ყავი, გამზირი გეტკეპნა და ჩვენ კი ამ დღეში არ ჩაგეგდეთო.

ცოტა ხნის შემდეგ კაპიტოლინამ თვალები გა-ახილა და თავი ასწია. მიიხედ-მოიხედა და... ლო-ყაზე ხელი ძიდო:

— ის ბავშვი რა უყავით?!

— ვინ ბავშვი, ქალო?!

— იამზე!.. იამზე რა უყავით!.. არიქა, თავს არა-ფერი მოსწიოს!... ვაიჰ!.. ვაიმეჰ!... — ბარბაცით წამოდგა, რამდენიმე ნაბიჯი კარებისაკენ გადადგა და... ისევ იატაკზე გაიშხლართა და თვალები ჭერს გაუშტერა.

— გადით, ახლავე იამზე მოძებნეთ! — უბრძანა ვიღაცას ვარლამმა. სხვები ისევ კაპიტოლინას მი-ვარდნენ, წამოაყენეს და სკამზე დასვეს. მათემატი-კოსმა იასონ გარაყანიძემ ვეღარ მოითმინა და ერთი ჭიქა წყალი კაპიტოლინას სახეში ერთბაშად შეასხა.

— ნუ მაიმუნობ, ქალო! — დაუყვირა მან კაპი-ტოლინას. კაპიტოლინამ თვალები გაახილა. წყალი წურწურით ჩამოსდიოდა ლოყებსა და კისერზე. მაინც მოახერხა და იასონს მიბნედით შეხედა თვა-ლებში.

— იატაკზე აღარ წამოითხლაშო! — იასონმა თითი გამწარებით დაუქნია.

— ვაიჰ!.. — კაპიტოლინამ თვალები მილულა და ისევ თავი ჩაჰკიდა.

— ვაი შენ და არ გათენება!. — იასონი გარეთ გამოვარდა და კარი გამოიჯახუნა.

ამასობაში ვარლამიც საბოლოოდ დამშვიდდა. კაპიტოლინასთან მივიდა, მიუჯდა, ნიკაპზე თითი ამოსდო და თავი აუწია.

— შემომხედე თვალებში! ასე! — აბა, ახლა ბრძანე, რა გემართება?

კაპიტოლინამ არაფერი უპასუხა. თვალები გადა-ატრიალა და ისევ თავი ჩაჰკიდა.

— მითხარი, რა გემართება? — ვარლამი კაპი-ტოლინას გვერდით მიუჯდა, — მე ხომ მიცნობ. ცუდი შენთვის არაფერი გამიკეთებია. სულ მხარ-ში გედექი, გეხმარებოდი... მითხარი, აი, გთხოვ, ადამიანურად მითხარი, რა გემართება?

კაპიტოლინამ არაფერი უპასუხა.

— დავიჯერო, შენ, ასეთ გულკეთილ ადამიანს, გეწყინა, რომ იამზეს ერთი კლასი მივუმატე? მე-რე რა ვუყოთ? დაჩაგრული არც შენ გვყავხარ. შენ ხნობაზე იმის ნახევარიც არ მქონდა, შენ რომ ახლა გაქვს. იამზე პატივისცემის ღირსია... კარ-გად მუშაობს! ნივთიერადაც უჭირს. დედ-მამამ რომ ჩამოაკითხა, ერთი ბოთლი ღვინის ფული აღარ ჰქონდა, თურმე ჩვენ ვერ გაგვიბედა და დარაჯს ესესხა. დედ-მამამ კი რა ჰქნას? სამსახურში ჩამ-დგარი შვილი კიდევ აქეთ შეინახოს? და შენ? შენ! რა გაკლია? საკუთარ სახლში არა ხარ, ეზო-გარე-მო არ გივარგა, თუ წლიდან წლამდე რამე შემო-გაკლდება? ან იმას იტყვი, იამზე კლასს ვერ გა-უძღვებაო. არა, ამას ვერ იტყვი. ყველა ვხედავთ, როგორი მასწავლებელია... შენც ხედავ... ჰოდა, აბა, მითხარი, რა გემართება?..

კაპიტოლინამ არც ახლა უპასუხა. მიბნედილი თვალები მიატრიალ-მოატრიალა, ხელთათმანიანი ხელი ძლივს-ძლივს, ნაზად, ასწია და ერთ მასწავ-ლებელ ქალს თითით ანიშნა — მოდი და გვერდით მომიჯექიო. ქალი ცოტა კი დაიბნა, მაგრამ მაინც მივიდა და მიუჯდა. კაპიტოლინამ მას ხელი მო-ხვია და თავი მხარზე მიაბჯინა. ქალი გაისუსა და რომ არ გასცინებოდა, ტუჩს კბილები დააჭირა.

ვარლამმა გაანჩხლებით ხელი ჩაიქნია და წამოდ-გა. მაგიდასთან მივიდა და იქიდან გამოაცხადა:

— პედაგოგიური საბჭოს სხდომა დამთავრებუ-ლია! — წამოდგნენ. ვისაც რაიმე ჩასაცმელი ჰქონ-და, — პალტო თუ მოსასხამი, — ჩაიცვეს, ქუდები დაიხურეს და გამოვიდნენ. კაპიტოლინას არავინ დამშვიდობებია.

— შენ აქ დარჩები, თუ სახლში წახვალ? — ჯი-ქურ ჰკითხა ვარლამმა კაპიტოლინას.

კაპიტოლინამ არ უპასუხა.

— იცოდე, გარეთან გასაღებით ჩაგკეტავ!

— ჩამკეტე... — წაჩურჩულა კაპიტოლინამ და იმ მასწავლებელ ქალს უფრო მაგრად მოეხვია, — ჩამკეტე... მაინც ჩაკეტილი ვარ და გზა არსაითა მაქვს... ჩამკეტე და... ბარემ ბოქლომიც დამადე!

ვარლამმა ეს კი ვეღარ მოითმინა, გარეთ გავარ-და და კარები ისე მიაჯახუნა, რომ მთელი ოთახი შეინძრა.

კაპიტოლინა არც განძრეულა.

წარმოიდგინეთ, საწყალი ვარლამი იმ ღამეს რა ყოფაში იქნებოდა. დილამდე თვალი არ მოუხუ-ჭავს, ლოგინში წრიალებდა, ოხრავდა და რაღაც გაუგებარს ბურტყუნებდა. დილით სკოლაში ად-რიანად ჩამოვიდა, ახლომახლო მცხოვრები მას-წავლებლები იხმო და სასწრაფო, ასე ვთქვათ, ში-ნაურული თათბირი გამართა.

— რა ვიღონოთ, ხალხო? სკოლა სკოლას აღარ ჰგავს.

— აღარ ჰგავს! — დაუდასტურეს აქეთ-იქიდან.

— აწი უარესი მოგველის.

— იცოცხლე! რამდენ ვინმეს საათს მიუმატებ, სულ ასეთი კომედიები გათამაშდება.

— და შენ არ იფიქრო, ვარლამ, ეგ უმსგავსი მარ-ტო იამზეს ერჩოდეს. ამას წინათ ჩემს მოწაფეებ-თან შებარბაცებული, — მე ცოტა შემაგვიანდა, — და უთქვამს, ელენე-მასწავლებელს ცოტა ალგებრა უჭირს და თუ რამე კარგად ვერ აგიხსნათ, ჩემთან მოდით და ყველაფერს გაგაგებინებთო. ერთი მი-თხარით, მაგის დახმარება მჭირდება?

— ახლა მე? შენთვის ფარულად მაინც უკ-ბენია, მე კი აღარც მომერიდა. სახლში მეახლა, შეღამებულზე, და... ჰმ!.. არც ვიცი, გავიმეორო თუ არა... ერთი სიტყვით, ჭკუის დარიგება დამიწ-ყო: სილიბისტრო ამყოლაძის გოგო, ნათელა, — ჩემი მოწაფე, მეცხრეკლასელი, — ნაადრევადაა დამწიფებული. შენ ჯერაც ჯანიერი კაცი ხარ და თუ გული სხვანაირად შეგექმნას, შენი ჭირიმე, არ დამკლა, სული არ წაიწყმიდო და გოგო არ გააუბედურო. სკოლას სახელი არ გაუტეხო. ასე, ა, პირდაპირ ყელგამოწეული მეხვეწებოდა!

— შეხედე შენ!

— ხა-ხა-ხი!

— კაცო, ეს სასაცილოა?!

— სასაცილოც არის და სატირალიც!

— ვაი, ამ დღეს!

— ხალხო, თქვით, რა ვიღონოთ, ა? — ვარლამ-მა კითხვა გაიმეორა და გულხელი დაიკრიფა.

არავინ არაფერი უპასუხა. ან ვის რა უნდა ეთ-ქვა? ყველა ხედავდა, თუ ვარლამი როგორ უხერ-ხულ მდგომარეობაში იყო. ბოლოსდაბოლოს, რის დირექტორი ხარ, თუ ის ვერ მოგიხერხებია, რომ ახალგაზრდა, მონდომებულ, ღირსეულ მასწავლე-ბელს ერთი კლასი მიუმატო და ნივთიერი მდგო-მარეობა გაუუმჯობესო. არადა, ვარლამს რომ თა-ვისი გაეტანა და იამზე ბრძანებით დაეწინაურები-ნა, ვინ იცის, კაპიტოლინა რას არ დააბრალებდა და თავისი საჩივრებით სანამდე არ ივლიდა. ასე უხეიროდა ვართ ადამიანები მოწყობილი. გალან-ძღვისა და ცილისწამების გვეშინია. კურდღელისა არ იყოს, ხომ გახსოვთ? „დაგეედევენ და მერე ეძიე, კურდღელი ხარ, თუ სახტარიო“. ვარლამი ოჯახის პატრონი, ორი მოწიფული ქალიშვილის მამა იყო. სოფელშიც და რაიონშიც კარგი სახელი ჰქონდა. ჰოდა, მოგეხსენებათ, სახელი რა ძნელი მოსავლელია. ერთი ბეწო, სულ დაუმსახურებელი ლაქა და...

— რა ვქნათ, ხალხო? — ისევ იკითხა ვარლამმა, — მითხარით, რა ვქნათ? ქალაქმა ასეთი კარგი ბავ-შვი გამოგვიგზავნა და ვერ მოვუაროთ? ერთი სა-ათი ვეღარ მივუმატოთ?

— მიუმატე. — უთხრეს აქეთ-იქიდან.

— მიუმატე! ადვილი სათქმელია!.. — ვარლამი წამოდგა და ოთახში გაიარ-გამოიარა, — ეგ ადვი-ლია, ჯერ ბრძანებას დავწერ, ხელს მოვაწერ და მორჩა. მაგრამ ეგ გარეწარი მერე რაღას იზამს? ჩემი თავი ჯანდაბას, ეს ცხოვრება თითქმის გავა-ჯახირე და დირექტორობასაც როგორმე შევეღეი, მაგრამ მაგ უმსგავსმა ეგ ბავშვიც რომ არ დაინ-დოს?

— არც დაინდობს. — ისევ უთხრეს აქეთ-იქი-დან.

— შენც არ მომიკვდე!

— დაინდობს კი არა, სასიკვდილოდ გაიმეტებს.

— ტალახში ამოსვრის.

— გაანადგურებს.

— ჰოდა, რა ვქნათ?! — ვარლამი მაგიდას მი-უჯდა, — მითხარით, რა ვქნათ?!

არავინ არაფერი უპასუხა. ბარე ათი თუ თხუთ-მეტი წუთი ყველანი ხმაამოუღებლად ისხდნენ. გამოსავალი ვერავის ეპოვნა. მერე გაკვეთილების დაწყების დროც მოვიდა. ზარის ხმაზე წამოდგნენ, ჟურნალები აიღეს და თავიანთ კლასებს მიაშურეს. სხვათა შორის, იამზე იმ დღეს სკოლაში არ მო-სულა. ვიღაც ბავშვის პირით შემოეთვალა, თავის ტკივილი ამიტყდა და ბიულეტენზე გადამიყვანე-თო.

ვარლამმა სხვა ვეღარაფერი გააწყო და ნაშუა-დღევს რაიონში წავიდა, მირჩიონ, ან, ბოლოსდა-ბოლოს მიბრძანონ როგორ მოვიქცეო. მაგრამ რა-ონში აუტკივარი თავი არავინ აიტკივა, — სკოლის დირექტორი შენა ხარ და საათებიც შენ გაანაწილეო. ვარლამი დაზაფრული ამობრუნდა, ლოგინში ჩაწვა და ერთი კვირა სკოლას არ გაჰ-კარებია.

არ ვიცი, დამიჯერებთ, თუ არა, ის ერთი ზედ-მეტი საათი ახლაც გასანაწილებელია. ხან ერთი მასწავლებელი ჩაატარებს, ხან მეორე და ხან მე-სამე. იამზემ გადაჭრილი უარი განაცხადა, მაგ სა-ათს მე არ ავიღებო. არც სხვა მასწავლებლებს უნდათ. კაპიტოლინა კი ისე დაბრძანდება სკოლა-ში, თითქოს არც არაფერი მომხდარიყოს. იცის, რომ პასუხის მომთხოვნი არავინ ჰყავს. როგორ აკადრებენ? დიპლომიანი ქალია...

შემოქმედის გზა



(გ. ნახუცრიშვილის დაბადებიდან 70 წლისთავის გამო)

ნახევარ საუკუნეზე მეტი დრო გავიდა, რაც გუგა ნახუცრიშვილი ერთგულად ემსახურება ქართულ სამავშვო მწერლობას, ნორჩი თაობის აღზრდის საქმეს; მწერალი ნორჩებზე ზრუნვაში გაჭაღარავდა, გადაიქცა მათ მესაიდუმლედ და ოცნებათა თანაზიარად. მამის ხელი დაჰყვაო, მასზე ამბობდნენ; გუგას მამა დავითიც ხომ თავის დროისათვის ცნობილი მწიგნობარი გახლდათ. მისი ორიგინალური თუ ნათარგმნი პიესები ხშირად იდგმებოდა ქართულ სცენაზე.

1933 წელს ცალკე წიგნად გამოვიდა გ. ნახუცრიშვილის სამავშვო მოთხრობა „მამამ გამომგზავნა". ამას მოჰყვა „სილვა ვასილევი" და რომანი „მგელკაცა". სულ მალე გ. ნახუცრიშვილმა მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრს წარუდგინა თავისი კომედია-ზღაპარი „ნაცარქექია". ამ დროიდან ხსენებული პიესა სცენიდან აღარ ჩამოსულა — უკლებლივ შემოიარა რესპუბლიკის თეატრები; 1937 წელს კი მოსკოვის სამავშვო თეატრში დაიდგა. 1940 წელს მოზარდ მაყურებელთა თეატრების საკავშირო დათვალიერებაზე ეს სპექტაკლი წარუდგინეს მაყურებელს თბილისის, მოსკოვის, კალინინისა და გროზნოს მოზარდთა თეატრებმა. მომდევნო წლების მანძილზე მაყურებელმა ნახა მისი „ლადო კეცხოველი", „ცეცხლის ხაზზე", „სიჭაბუკე ბელადისა", „ავლაბრის სტამბა" და სხვ.

ფოლკლორის მოტივებზე აგებული პიესებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია „კომბლე", რომლის დადგმა თეატრმა 1939 წელს განახორციელა. ეს მშვენიერი სცენური ქმნილება გადაიქცა მოზარდ მაყურებელთა უსაყვარლეს სპექტაკლად. კომბლე— სიმართლისათვის თავდადებული მებრძოლია, გამოსული ხალხის წიაღიდან. მას არ ეშინია აშკარად ამხილოს თვით მეფე და ანგარიშიც გაუსწოროს მას ღატაკთა ჩაგვრისათვის.

გ. ნახუცრიშვილის ზღაპარი-კომედია „ჭინჭრაქა" თანამედროვეობის მწვავე პოლიტიკურ საკითხებს ეხება. მან შემოიარა მთელი ჩვენი ქვეყანა და ყველას მოუტანა სიხარული და სიამოვნება, უფროსებსაც და უმცროსებსაც. აი რას წერდა „ჭინჭრაქას" დადგმის თაობაზე ჟურნალ „თეატრის" რედაქტორი იური რიბაკოვი: „ამ ლამაზმა და კეთილმა ზღაპარმა... ერთხელ კიდევ დაადასტურა ის ძველი ჭეშმარიტება, რომ ნამდვილი ხელოვნება საინტერესოა ბავშვებისთვისაც და მოზრდილებისთვისაც".

დიდი ინტერესით მიიღო საზოგადოებრიობამ სულხან-საბა ორბელიანის ბრძნული იგავების სიუჟეტზე აგებული კიდევ ერთი საინტერესო ზღაპარი-კომედია „შაითან ხიხო"; გუგა ნახუცრიშვილის ამ პიესის დედააზრი ასეთია: რაც არ უნდა ძლიერი გვეჩვენებოდეს ბოროტება და ვერაგობა, ისინი მაინც უძლურნი და უსუსურნი არიან სიმართლისა და სიკეთის წინაშე, ნათელი მუდამ დაამარცხებს ბნელს.

ნიკო ფიროსმანაშვილზე მრავალი ბრწყინვალე ლექსი დაუწერიათ ქართველ პოეტებს, მისი შემოქმედების პოპულარიზაციის საქმეს დიდი ამაგი დასდეს ტიციან ტაბიძემ და გიორგი ლეონიძემ; მასზე შესანიშნავი მოგონებები დაწერა სახალხო მხატვარმა ლადო გუდიაშვილმა; მხატვრის მემკვიდრეობას მიეძღვნა არაერთი გამოკვლევა და მონოგრაფია, მაგრამ ამ დიდი ადამიანის სცენური სახის შექმნა დაკავშირებულია გუგა ნახუცრიშვილის სახელთან. ნიჭიერ დრამატურგს დიდ ხანს ძოსვენებას არ აძლევდა ეს თემა, ის ოცნებობდა აესახა ნიკოს ბედკრული ცხოვრებაც და მისი დაუცხრომელი სულის მღელვარება. დრამატურგმა კარგად გაართვა თავი ამ ამოცანას. წინასწარ მან შეისწავლა დიდძალი მასალა, იმ დროის თბილისის ყოფა, ფოლკლორი, ტრადიციები და ზნე-ჩვეულებანი. ამიტომაც მოხდა, რომ ფიროსმანაშვილი ცოცხალი და მიმზიდველი სახით წარმოსდგა ჩვენს წინაშე.

ფიროსმანაშვილის სცენური პორტრეტი ჩვენი დროის შესანიშნავმა მსახიობმა სერგო ზაქარიაძემ გამოძერწა სცენაზე. ეს იყო ნამდვილი პოეტური სახე, რომელმაც საპატიო ადგილი დაიჭირა ქართული თეატრის მატიანეში.

ორიგინალურ პიესებს გარდა, გუგა ნახუცრიშვილს ეკუთვნის მრავალი ინსცენირება; ამას გარდა, მან თარგმნა მრავალი უცხოური პიესა, რომლებიც განხორციელებულ იქნა ქართულ სცენაზე.

გუგა ნახუცრიშვილი — მთესველი სიკეთისა თავისი მშვენიერი ნაწარმოებებით, თვითონაც კეთილი, სათნო და გულთბილი ადამიანია. მიუხედავად ხანდაზმულობისა, იგი კვლავ ხალისიანად ემსახურება თავის საყვარელ საქმეს. ვუსურვოთ ხანგრძლივი სიცოცხლე და ახალი შემოქმედებითი წარმატებანი ჩვენს გუგას, რომელმაც ესოდენ კეთილი კვალი დააჩნია ქართული საბჭოთა თეატრისა და დრამატურგიის ისტორიას.

გაიოზ იაკაშვილი

ჩვენი ალიო

ალიო მირცხულავა ჩემი ახლო მეგობარი იყო. ბევრჯერ ვყოფილვარ მასთან, ერთად გვიმოგზაურია კახეთში, იმერეთში, სამეგრელოში, გურიაში, აჭარაში, აფხაზეთში. არსებითად, სწორედ ამ მოგზაურობისას დავუახლოვდი პოეტს, რომელსაც ჯერ ისევ ოციან წლებში ახალგაზრდა მკითხველის გული დაპყრობილი ჰქონდა. მას, ქართული საბჭოთა პოეზიის პირველ გზის გამკვლევს და ერთ-ერთ ფუძემდებელს, უველგან სიყვარულით ხვდებოდნენ.

მაშინ ნაძალადევში (ლენინის რაიონი) ვცხოვრობდი. მე და ჩემი მეგობრები — ეორა გიორგობიანი, შოთა ჩხაიძე, პავლე ტატანაშვილი, შურა მთვრალაშვილი (შემდგომ საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელი მუშაკები) პოეტს ჯერ კიდევ პირადად არ ვიცნობდით, მაგრამ ისეთი გრძნობა გვქონდა, თითქოს ჩვენი ძველი და ახლო მეგობარი იყო. ალბათ, იმიტომ, რომ მისი ბევრი ლექსი ზეპირად ვიცოდით. ეს ლექსები ზედმიწევნით ეხმაურებოდა ჩვენს სულიერ განწყობილებას.

1925 წლის გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს ალიო მირცხულავა, მაშინ მაშაშვილის გვარით ცნობილი, ნაძალადევის ახალგაზრდობას ეწვია. პლეხანოვის სახელობის კლუბის ეზოში მუშა ახალგაზრდობას მოეყარა თავი, პოეტმა ყველას სათითაოდ ჩამოუარა, ხელი ჩამოართვა და გულითადად გაესაუბრა. შემდეგ ბიბლიოთეკის დარბაზში დავსხდით და გულღია სჯა-ბაასი გაიმართა. ახალგაზრდებს აინტერესებდათ ლიტერატურის საკითხები, პოეტს შეკითხვას შეკითხვაზე აძლევდნენ, ისიც გატაცებით ლაპარაკობდა ახალი ლიტერატურის მებრძოლ ხასიათზე. განსაკუთრებული სიყვარულით ახსენებდა მაიაკოვსკის სახელს. მაშინ ალიო მოსკოვიდან (იქ სწავლობდა ლიტერატურის ინსტიტუტში) ახალი ჩამოსული იყო, პირადად შეხვედროდა მაიაკოვსკის და თავის შთაბეჭდილებებს გვიზიარებდა.

მეორედ ალიოს 1930 წელს შევხვდი გაზეთ „კომუნისტის" რედაქციაში, სადაც პარტიულ განყოფილებაში ვმუშაობდი. იგი განყოფილების გამგესთან, აკაკი ქაროსანიძესთან მეგობრობდა და რედაქციაში ხშირად მოდიოდა. მახსოვს, ერთხელ ესენინზე ჩამოაგდო სიტყვა.

— ესენინი, — თქვა მან, — ძალიან მგრძნობიარე, გულღია და ალალი კაცი იყო. რევოლუციამდე კორექტორად მუშაობდა სტამბაში, სიამოვნებით იგონებდა იქ გატარებულ დღეებს, არაჩვეულებრივად უყვარდა საერთოდ, პოლიგრაფიის მუშაკები, ხშირად ხვდებოდა მათ.

უკანასკნელად ალიო ესენინს ერთ პატარა დუქანში შეხვედრია. ცუდ გუნებაზე იყოო. სიმართლე გითხრათ, არ მომეწონა ის წრე, ირგვლივ რომ ეხვია და ვურჩიე, თბილისში წასულიყო, იქაურ მეგობრებთან სევდის გასაქარვებლად. ამის შემდეგ ესენინს თბილისში შევხვდი. ჩვენმა დედაქალაქმა მასზე დიდი გავლენა მოახდინა, სულ შეუცვალა განწყობილებაო. იგრძნობოდა, რომ ალიოს ესენინი განსაკუთრებულად უყვარდა.

1963 წელს ფართოდ აღინიშნა ალიო მირცხულავას დაბადების სამოცი წლისთავი. ამ თარიღს მეც გამოვეხმაურე, წერილი დავბეჭდე ეურნალ „დროშაში" (№ 6). მასში ხაზგასმით არის გამოყოფილი „განგაში", როგორც ახალი სიტყვა ქართულ საბჭოთა დრამატურგიაში. ავტორს ეს პიესა ძალზე უყვარდა და მისი გახსენება საოცრად ესიამოვნა.

— „განგაში" ახმეტელს წარვუდგინე, პიესას მაშინვე გაეცნო და რამდენიმე საუურადღებო შენიშვნა მომცა. წამოვდექი თუ არა, მხარზე ხელი დამადო და ბრძანების კილოთი მითხრა: აქედან ფეხს ვერ გადადგამ, სანამ რაც გითხარი, არ გაასწორებო. ჩამკეტა თავის კაბინეტში, თვითონ კი სადღაც წავიდა. კარგი ხნის შემდეგ დაბრუნდა, გადახედა ჩემს ნამუშევარს და კმაყოფილმა „პატიმრობიდან" გამანთავისუფლა.

მეორე დღეს მწერალთა კავშირში მითხრეს, რუსთაველის თეატრში გიხმობენო. წავედი. ფოიეში ემანუილ აფხაიძეს შევხვდი, ვკითხე, თუ იცი, რატომ მიბარებს ახმეტელი-მეთქი. შენი რა გითხრა, მაგრამ მე რომ რეპეტიციაზე დაგვიანებისათვის, აი ამ წუთში ტუავი გამაძრო, ეს კი კარგად ვიცი, განრისხებულია და ახლა გირჩევ ახლოს არ მიეკაროო. ვიცოდი, რომ ახმეტელმა განრისხებაც იცოდა და რისხვის დაოკებაც. ამიტომ, გავბედე და რეჟისორის სამუშაო ოთახის კარი შევაღე. თვალი მომკრა თუ არა, მაშინვე ფიხზე წამოდგა, მომიახლოვდა, მკლავში ხელი გამიყარა და განზე გამიხმო. მივ-

ალკოჰოლი და ადამიანის ჯანმრთელობა

ალკოჰოლიანი სასმელების შხამი, უპირველეს ყოვლისა, ცენტრალურ ნერვულ აპარატზე მოქმედებს.

ადამიანის ყოველი მოქმედება მოძრაობათა ზუსტი კოორდინაციით ხორციელდება. ალკოჰოლი სწამლავს საკოორდინაციო ნერვულ მექანიზმებს— ნათხემს და მისგან გამოსულ გზებს, რის გამოც მთვრალი გაურკვევლად ლაპარაკობს, ლუღლუღებს, ბარბაცებს, რაიმე საგნის ხელში აღებისას გადაჭარბებულად გაწილის ხელს და ის დანიშნულების ადგილას ზიგზაგებით მიაქვს, რის გამო საგანი ხშირად უვარდება ხელიდან.

მოძრაობათა კოორდინაციის მოშლის გამო მთვრალი ადამიანი ადვილად ეცემა, იზიანებს სხეულის რაიმე ნაწილს, სახეჩრდება, ან სიმაღლიდან გადმოვარდნის მსხვერპლი ხდება.

ალკოჰოლით გამოწვეული როგორც მწვავე მოწამვლა, ისე ალკოჰოლიანი სასმელების ხანგრძლივი გადაჭარბებული მიღება მრავალგვარ ავადმყოფობას იწვევს. ადამიანის ორგანიზმში არ არის არც ერთი ორგანო, რომელსაც სპირტიანი სასმელი არ აზიანებდეს, მაგრამ მათ შორის პირველი და განსაკუთრებული ადგილი ნერვულ სისტემას უჭირავს.

ცნობილია ქრონიკული ალკოჰოლური მოწამვლით გამოწვეული ნერვების მრავლობითი ანთება ე. წ. ალკოჰოლური პოლინევრიტი. ეს ავადმყოფობა იწყება კიდურების პერიფერიულ სეგმენტებში უსიამოვნო შეგრძნებებით, ტკივილებით და კუჭნაწლავის აშლილობით; ამას მოჰყვება სისუსტე ოთხივე კიდურში, მეტად ფეხებში, რასაც დამბლა მოსდევს. დადამბლავებული კიდურების კუნთები ატროფიას (განლევას) განიცდიან.

მოძრაობის მოშლასთან ერთად შესამჩნევი ხდება ტკივილების გაძლიერება ან მგრძნობელობის მოსპობა. ღრმა მგრძნობელობის მოშლის გამო ავადმყოფს დარღვეული აქვს კოორდინაციული მოძრაობის უნარი და წონასწორობა.

ალკოჰოლურ პოლინევრიტს ხშირად დაერთვის ფსიქიკური აშლილობა, რაც პირველად აღწერა გამოჩენილმა რუსმა ფსიქიატრმა ს. ს. კორსაკოვმა. „კორსაკოვის ფსიქოზით“ შეპყრობილ ავადმყოფს დაკარგული აქვს მეხსიერება იმ ამბების მიმართ, რაც ახლო წარსულში მოხდა. ავადმყოფს არა აქვს ახლის დამახსოვრების უნარი, ავიწყდება ბოლოდროინდელი და ყოველდღიური ამბები, ხოლო შორეული ამბები კი შედარებით კარგად ახსოვს. დეზორიენტაცია ეხება დროს, სივრცეს და პიროვნებებს: ავადმყოფი ვერ ერკვევა რომელი წელი, თვე, თვის რიცხვი და კვირის დღეა; არ იცის სად იმყოფება: ვეღარ აგნებს თავის ბინას; ვეღარ ცნობს ნაცნობ ადამიანებს და ა. შ.

„კორსაკოვის ფსიქოზისათვის“ დამახასიათებელია კონფაბულაცია. ეს ლათინური ცნება — „კონფაბულო“ სიტყვასიტყვით ნიშნავს — ვუბედობ. ავადმყოფი წარსულს ყალბად, არეულდარეულად გადმოგვცემს. კონფაბულაცია აზროვნებისა და მეხსიერების მოშლის შედეგია.

ალკოჰოლური პოლინევრიტი თანდათან ვითარდება რამდენიმე კვირის ან თვის განმავლობაში. თუ ავადმყოფი ალკოჰოლის მიღებას სრულიად შეწყვეტს, მაშინ პროცესი უკუგანვითარებას განიცდის რამდენიმე თვის, ან 1-2 წლის მანძილზე. არის სიკვდილის შემთხვევებიც, როდესაც დაზიანდება ცთომილი ნერვის გულის ტოტები და დიაფრაგმის ნერვი. ალკოჰოლური მოწამვლისაგან გამოწვეული თავის ტვინის ღრმა ცვლილებების გამოსწორება შეუძლებელია.

ალკოჰოლიანი სასმელების მიღება, გუნება-განწყობის დროებითი აწევის გამო, იძლევა შრომის უნარის მოჩვენებითი გაძლიერების სუბიექტურ შეგრძნებას, სინამდვილეში კი — ალკოჰოლის მცირე რაოდენობაც მნიშვნელოვნად აქვეითებს ადამიანის გონებრივი და ფიზიკური შრომის უნარს.

დათრობა, არსებითად, მწვავე ფსიქიკური აშლილობაა. ის ხშირად მიზეზი ხდება ბოროტმოქმედების ჩადენისა.

განსაკუთრებით სახიფათოა ე. წ. პათოლოგიური დათრობა, რაც მოსდევს ღვინისა, და არყის დიდი რაოდენობით მიღებას, უპირატესად იმ პირთა მიერ, ვისი ნერვული სისტემა არასრულღირებულოვანია. ამ დროს ადამიანის ცნობიერება აშლილია, ორიენტაცია დაკარგული აქვს, ემართება ჰალუცინაციები. პათოლოგიური დათრობის დროს ადამიანი აგზნებულია, გარბის, იჩენს აგრესიულობას და შეუძლია ჩაიდინოს რაიმე ბოროტმოქმედება. ზოგჯერ ავადმყოფს იპყრობს შიში და სევდა, აქვს ბოდვითი იდეები და თვითმკვლელობისადმი მიდრეკილება.

პათოლოგიური დათრობა რამდენიმე საათს გრძელდება, რასაც მოსდევს ძილი. გამოღვიძებისას ადამიანს არ ახსოვს რა ჩაიდინა. პათოლოგიური დათრობა თითქმის ყოველთვის მთავრდება რაიმე მეტად უსიამოვნო შედეგით ან უბედური შემთხვევით და ის, ჩვეულებრივ, სასამართლო მედიცინის კვლევის საგანს წარმოადგენს.

ღვინის, არყის და სხვა ალკოჰოლიანი სასმელების ხანგრძლივი, სისტემატური, გადაჭარბებული მიღება იწვევს მრავალ ფსიქიკურ აშლილობას; ასეთებია ქრონიკული ალკოჰოლიზმი, ეჭვიანობის ბოდვა, თეთრი ცხელება, ალკოჰოლური ჰალუცინაციური შეშლილობა, გახანგრძლივებული ალკოჰოლური ბოდვა და „კორსაკოვის ფსიქოზი“. ალკოჰოლურ ფსიქოზებს იწვევს თავის ტვინის ქერქის დაზიანება, მისი ფიზიოლოგიური წონასწორობის დარღვევა.

საქართველოში „თეთრი ცხელების“ შემთხვევები პირველად აღწერა ნ. ვეშაპელმა 1926 წელს. ავტორმა განიხილა ფსიქიატრიული ინსტიტუტის სამი წლის სტატისტიკური მონაცემები და ფსიქიკურად დაავადებულთა შორის ალკოჰოლური ფსიქოზით შეპყრობილთა მხოლოდ 2,3 პროცენტი აღმოაჩინა, მაშინ როდესაც სხვა ქვეყნების ფსიქიატრულ დაწესებულებებში ალკოჰოლური ფსიქო-

---

ხვდი, რალაც სათქმელი ჰქონდა, მაგრამ მსახიობებთან არ უნდოდა ეთქვა. კუთხეში რომ მივდექით, ხელი გადამხვია და მორიდებით მითხრა: ალიო, შენი პიესის სახელწოდება არ მომწონს, მკაფიოდ ვერ გამოხატავს ნაწარმოების იდეურ შინაარსს. ამაზე იფიქრე, დრო არ ითმენსო. ეს იოლი საქმე როდი იყო, როგორც ჩაფიქრებული მქონდა, სწორედ ისე დავარქვი და ახლა შემეცვალა? ბედზე, ყველაფერი სწრაფად გადაწყდა. თვითონ ახმეტელმა მირჩია, იქნებ ასე ჯობსო და „განგაში“ შემომთავაზა. (სამწუხაროდ, ალიოს არ უთქვამს ამ პიესის პირველი სახელწოდება). სწორედ ამ სათაურითვე მალე წარსდგა ჩემი ნაწარმოები მაყურებელთა წინაშე. და, თუ პიესას წარმატება ხვდა წილად, ამაში დიდი ღვაწლი მიუძღვის სახელოვან რეჟისორს... — დასრულა ალიომ.

მეორე დღეს შევხვდი პოეტს და ვუთხარი: ყველაფერი, რაც კი მიამბე, გუშინ „განგაშის“ ირგვლივ, უბის წიგნაკში ჩავიწერე-მეთქი.

— ალბათ ოდესმე ჩანაწერს გამოაქვეყნებ და გთხოვ აუცილებლად აღნიშნო ჩემი მადლიერება კუკური პატარიძისადმი, რომელმაც დიდი ამაგი დასდო პიესის დადგმას („განგაშის“ დადგმა ეკუთვნის ს. ახმეტელსა და კ. პატარიძეს — ვ. ჯ.). ნაწარმოებს რეპეტიციის პროცესში აღმოაჩნდა ხარვეზები, ისინი პატარიძემ შეავსო, მისი ოსტატობის წყალობით დაძლეული იქნა აგრეთვე გადასვლებში არსებული ნაკლიც. გამოცდილებით დავრწმუნდი, რაოდენ მართალი იყო დიდი ილია, როდესაც ამბობდა: დრამის შექმნა ყველა სხვაგვარ პოეტურ თხზულებაზე გაცილებით ძნელია. ერთი სიტყვით, ს. ახმეტელმა და კ. პატარიძემ, ამ ორმა შესანიშნავმა ადამიანმა და რეჟისორმა წარმადგინეს მაყურებლის წინაშე, როგორც დრამატურგი.

1971 წლის გაზაფხულზე წიგნის პალატის კოლექტივმა ალიო მირცხულავას ლიტერატურული მოღვაწეობის 50 წლისთავი ბუნების წიაღში — სოფელ წოდორეთში აღნიშნა. წვეულებაზე მოწვეულთა შორის იყვნენ ო. ეგაძე, ო. ჭელიძე, ე. მაღრაძე, ჯ. ლომაშვილი, შ. ნემსაძე და პოეტის პორტრეტის ავტორი, მხატვარი ტ. ბარდაძე. ისინი დიდი სიყვარულით ლაპარაკობდნენ ალიოს დამსახურებაზე, ხალხის საკეთილდღეოდ გაწეულ მის ღვაწლზე და იმ სიახლეზე, რაც მან მოიტანა ქართულ პოეზიაში. ალიო ყურადღებით უსმენდა მათ და დიდად კმაყოფილი იყო მეგობრების გულწრფელი სიტყვებით. პასუხად მან მცირე შესწორებით წაიკითხა რამდენიმე სტრიქონი ლექსიდან „სიკვბუკე მეძახის“.

მეგობრებო, ყური მიგდეთ, გული მღერის,
კ'დევ შერჩა ძველი სიმხნე, სიმამაცე,
კიდევ შერჩა ცეცხლის ხმა და ცეცხლის ფერი,
არ ბერდება სიცოცხლე და სილამაზე!

ახლაც მესმის მისი ხმა და დღესაც თვალწინ მიდგას მამულის ძლიერი სიყვარულით ანთებული მისი სახე. აბა, მაშინ ვინ იფიქრებდა, რომ ჩვენ ყველანი გამოსათხოვარ სიტყვას ვამბობდით და რომ ეს ზეიმი ალიოს ცხოვრებაში უკანასკნელი იყო... ხუთი თვის შემდეგ იგი გარდაიცვალა.

ალიო პირად ცხოვრებაში საოცრად წყნარი, მშვიდი კაცი იყო, მაგრამ ძალიან მღელვარე და ბობოქარი საზოგადოებრივ თუ შემოქმედებითს საქმიანობაში. ეს ჩანს კიდეც მისი ლექსებიდან, რომელთაც ახასიათებს იდეური სიმახვილე, თემატიკური აქტუალობა, მგზნებარება, მელოდიურობა.

ალიო თავის დიდ ნიჭს მთლიანად ახმარდა მშრომელთა ინტერესებს, ხალხთა მეგობრობის განმტკიცებას. ეს იყო მისი, როგორც პოეტისა და მოქალაქის უდიდესი ღირსება.

ვლადიმერ ჯიბუტი

ზი 10-12 პროცენტს შეადგენს. საქართველოში ალკოჰოლური ფსიქოზის შედარებით ნაკლები მაჩვენებელი, ავტორის აზრით, უნდა აიხსნას ჩვენში არყის ნაკლები ხმარებით. ეს დებულება სადისკუსიოა, რადგან მოიპოვება სტატისტიკური მონაცემები ქრონიკული ალკოჰოლიზმისა და ალკოჰოლური ფსიქოზების მნიშვნელოვანი შემთხვევების შესახებ ლუდისა და ღვინის სმის დროსაც. როგორც ა. რაპოპორტი აღნიშნავს, არსებითად მნიშვნელობა აქვს მიღებული აბსოლუტური ალკოჰოლის საერთო რაოდენობას და არა სპირტიანი სასმელის კონცენტრაციას.

ბოლო წლებში ჩვენში ალკოჰოლური ფსიქოზების შესახებ საყურადღებო კლინიკური დაკვირვებები ჩაატარეს პროფესორ ე. გობრონიძემ, მედ. მეცნ. კანდიდატმა გ. აბულაშვილმა და სხვებმა.

გადაჭარბებული და უზომო სმა ადამიანს მუდამ საფრთხის წინაშე აყენებს. სიმთვრალის დროს იცვლება მისი ქცევა და მოქმედება; მთვრალი გადაჭარბებულად მხიარულია, ბევრს ლაპარაკობს, ერთსა და იმავეს იმეორებს, უშნოდ ოხუნჯობს, მღერის და ცეკვავს, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა ამის უნარი. უმნიშვნელო მიზეზს იგი წონასწორობიდან გამოჰყავს, უჩნდება მიდრეკილება კონფლიქტისადმი, იპყრობს განდიდებისა და ყოვლისშემძლეობის მანია, ეკარგება შიშის გრძნობა, ავიწყდება ზრდილობის ელემენტარული წესები.

პიროვნების ნერვული სისტემის თავისებურების მიხედვით სიმთვრალე შეიძლება სხვადასხვაგვარადაც გამოვლინდეს. მაგალითად, ზოგი ენამეტყველი — მდუმარე ხდება, მხიარული გუნებ-განწყობა — ცრემლიანობით ეცვლება, უწყინარი კაცი მოჩხუბარი შეიქნება და სხვ.

ადამიანის ქცევაზე ალკოჰოლის გავლენის საკითხი იყო და დღესაც არის მეცნიერული კვლევის საგანი. აქ, პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ი. პ. პავლოვის და მისი თანამშრომლების დამსახურება.

უმაღლეს ნერვულ მოქმედებაზე ალკოჰოლის გავლენის ობიექტური, გეგმიანი შესწავლა ი. პ. პავლოვის ხელმძღვანელობით დაიწყეს მის ფიზიოლოგიურ ლაბორატორიაში ჯერ პ. მ. ნიკიფოროვსკიმ და შემდეგ მ. კ. პეტროვამ.

1912 წელს, ამ მუშაობის დაწყებამდე, ი. პ. პავლოვი მეცნიერებათა აკადემიისადმი გაგზავნილ წერილში აღიარებდა, რომ ალკოჰოლის მავნებლობის შესწავლა და მასთან ბრძოლა მეცნიერების გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენსო. ი. პ. პავლოვი აღნიშნავდა, რომ ალკოჰოლის გავლენა იწვევს პირობითი რეფლექსური მოქმედების აშლას. ალკოჰოლი, პირველ ყოვლისა, მოქმედებს შეკავების პროცესზე, ხოლო ხანგრძლივი დროის განმავლობაში დიდი დოზები იპყრობს აგზნების პროცესსაც.

მაშასადამე, ალკოჰოლი არღვევს თავის ტვინის ქერქში მიმდინარე ძირითად ფიზიოლოგიურ პროცესებს და, ამგვარად, წარმოადგენს შხამს ცენტრალური ნერვული სისტემისათვის.

უმაღლეს ნერვულ მოქმედებაზე ალკოჰოლის გავლენის შესწავლა ფრიად საინტერესო და საკვანძო საკითხია ალკოჰოლიზმის მავნე გავლენის დასადგენად.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში ჩვენ, ა. გეინესთან ერთად, ჩავატარეთ დაკვირვება უმაღლეს ნერვულ მოქმედებაზე ალკოჰოლის გავლენის შესასწავლად და მივედით იმ დასკვნამდე, რომ პრაქტიკულად ჯანმრთელ ადამიანებში ალკოჰოლის მცირე დოზების (40 გრადუსიანი არყის 50 მილილიტრი) იწვევს შეკავების პროცესის დასუსტებას.

ალკოჰოლი არღვევს თავის ტვინის ქერქში მიმდინარე ძირითადი ფიზიოლოგიური პროცესების — აგზნებისა და შეკავების ნორმალურ მიმდინარეობას, მათ ურთიერთდამოკიდებულებას, ამით შლის უმაღლეს ნერვულ მოქმედებას, უჩვეულოს ხდის ადამიანის ქცევას. როგორც ალკოჰოლით მწვავე მოწამვლის დროს, ისე მისი ხანგრძლივი გამოყენების პირობებში, რაც ადამიანის ფსიქიკური პროცესების დაკნინებასა და დეგრადაციას იწვევს.

ალკოჰოლიზმი აუძლურებს არა მხოლოდ ადამიანის ფსიქიკას, არამედ ფიზიკურადაც ანადგურებს მას. ასე, მაგალითად, აკად. ი. ქუთათელაძემ შეისწავლა სიცოცხლის ხანგრძლიობა ალკოჰოლიან სასმელების მსმელთა და ალკოჰოლიკთა შორის და აღმოჩნდა, რომ ქრონიკული ალკოჰოლური ინტოქსიკაცია ძლიერ ამოკლებს სიცოცხლის ხანგრძლიობას.

მასვე ფრიად საინტერესო ცდები აქვს ჩატარებული ძაღლის ლეკვების ზრდაზე ალკოჰოლური ინტოქსიკაციის გავლენის შესახებ.

პროფ. მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, აკად. ა. ზურაბაშვილის ხელმძღვანელობით, შ. გამყრელიძემ ექსპერიმენტულად შეისწავლა მწვავე ალკოჰოლური მოწამვლის გავლენა ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე. აღმოჩნდა, რომ ასეთი მოწამვლა იწვევს მძიმე დისტროფიული ხასიათის ცვლილებებს უპირატესად თავის ტვინის ქერქში, ქერქქვეშა კვანძებში და ნათხემში (პატარა ტვინში); მიკროსკოპულად აღმოჩნდა ნერვული უჯრედების გაფუება და დიდი პირამიდული უჯრედების შეპმუხვნა.

საყურადღებოა, რომ ცენტრალურ ნერვულ სისტემაში პათომორფოლოგიური ცვლილებები უფრო ძლიერია სპირტით და არყით ინტოქსიკაციის დროს, ვიდრე ღვინით მოწამვლის შემთხვევებში.

ცხადია, სპირტი და არაყი მეტ მომშხამველ გავლენას ახდენს საერთოდ ორგანიზმზე და კერძოდ კი ნერვულ სისტემაზე, ვიდრე ღვინო.

საკმარისი არაა ალკოჰოლისაგან გამოწვეული ცვლილებების შესწავლა, არამედ აუცილებელია ალკოჰოლისადმი მისწრაფების საწინააღმდეგო საშუალებათა გამოძებნა.

სამედიცინო მეცნიერებას ალკოჰოლიზმის საწინააღმდეგო მრავალი საშუალება მოეპოვება, მაგრამ მთავარია აღმზრდელობითი ზომები, რომლებიც უნდა განახორციელოს ოჯახმაც, სკოლამაც, წარმოებამაც. ალკოჰოლიზმს — ადამიანის ჯანმრთელობის ამ საშინელ მტერს ყველა გზა უნდა გადავუღობოთ.

პროფ. ალექსი მინდაძე
მეცნიერების დამსახ. მოღვაწე.

სპორგული კალეიდოსკოპი

მწერლები და მოჭადრაკეები

ისლანდიაში კარგა ხანია ასეთი კანონი მოქმედებს: დიდი შემოსავლის პატრონს ამ თანხის 55 პროცენტს ახდევინებენ. ამ კანონით ბევრი იყო უკმაყოფილო, მაგრამ ისლანდიის მთავრობა მას უცვლელად ტოვებდა მანამდე, სანამ... ცნობილმა მწერალმა ჰალდორ ლაქსნესმა ნობელის პრემია არ მიიღო.

ლაქსნესი, ისევე, როგორც ყველა სხვა ისლანდიელი, დაბეგრეს. მაშინ მწერალმა იხუმრა: „კიდევ კარგი, თამბაქოს ფული რომ დამიტოვეთ, ამისათვისაც დიდ მადლობას მოგახსენებთო“.

ლაქსნესის ხუმრობა ყველამ გაიგო. უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილმა მთავრობამ ამიერიდან ასეთი შესწორება გამოაქვეყნა: „მწერლებისათვის გამონაკლისი იქნას დაშვებული. ისინი მხოლოდ 35 პროცენტით იქნენ დაბეგრილნი“.

როდესაც სპასკი — ფიშერის მატჩი მიიწურა, ფიშერმა განცხადებით მიმართა ისლანდიის პრეზიდენტს: ასეთი დიდი თანხის გადახდა დაენანა და მისი შემცირება ითხოვა. პასუხიც მალე მოვიდა. აქ ნათქვამი იყო, რომ გამონაკლისის სახით ფიშერ და სპასკი გაუთანაბრდნენ... მწერლებს.

პატიოსანი მეკარე

„ბრისტოლ როუერსის“ პროფესიული გუნდის მეკარე ესმონდ მილაიონს 300 გირვანქა სტერლინგი შეწთავაზეს, თუკი თავის გუნდს „ბრედფორდთან“ წააგებინებდა. მილაიონი დათანხმდა.

„ბრედფორდის“ თავდამსხმელები დიდი ვერაფერი შვილები იყვნენ, მეტოქის დაცვას ვერ სჯობნიდნენ. ამიტომ მეკარეს დიდი ოსტატობის გამოჩენა დასჭირდა, რათა თავის კარში ორი ბურთი გაეშვა, ისე, რომ მისი პარტნიორები არ აღშფოთებულიყვნენ.

და მაინც მეკარის შრომა წყალში ჩაიყარა. საქმე ისაა, რომ „ბრისტოლ როუერსის“ თავდამსხმელებმაც გაიტანეს ორი ბურთი და მატჩი ფრედ — 2:2 დამთავრდა. რაღას იზამდა მეკარე: ადგა და 300 გირვანქა სტერლინგი „ბრედფორდს“ დაუბრუნა.

ფსევდონიმებიც ასეთი უნდა!

როგორც მოგეხსენებათ, ბრაზილიაში ფეხბურთელებს ნამდვილი გვარებით არავინ იხსენიებს, ოითქმის ყველას რაიმე ფსევდონიმი აქვს.

ერთ-ერთი კლუბის პრეზიდენტმა ოსვალდო დავინჩიმ, რომელიც მხატვრობის დიდი მოყვარულია, გუნდის წევრებს ფრიად თავისებური ფსევდონიმები შეურჩია. ამ გუნდის პირველ მეკარეს პიკასოს უწოდებენ, მეორეს — რაფაელს. ცენტრალურ მცველს ველასკეზს უძახიან, გარემარბებს — რუბენსსა და კოროს.

ამასთან კლუბის შენობა გოიას ქუჩაზე მდებარეობს

სასტუმრო „ფეხბურთი“

ბრაზილიის ქ. არამბუში ახალი სასტუმრო დარსდა, რომელსაც „ფეხბურთი“ ჰქვია. მასში შესავალი კარი ფეხბურთის კარების ფორმითაა შესრულებული, ზარები შეცვლილია სამსაჯო სასტვენით. რესტორანში სამი დარბაზია ასეთი სახელწოდებებით: „შვეიცია, 1958“, „ჩილე, 1962“ და „მექსიკა, 1970“. ამ ქვეყნებში ხომ ბრაზილიელებმა მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვეს. სასტუმროს კედელზე გამოჩენილ მოთამაშეთა სურათებია.

ოცდაერთი დღის შემდეგ

ენრიკე ამორიმი

ურუგვაი

ნოველა

საიდანაც არ უნდა შეგეხედათ. რანჩო მთლად გაპარტახებული იყო. ზამთრის დაუზოგავ ქარს ჭიშკარი მოეყანყალებია. მაინც უდიერად მიახეთ-ქეზდნენ ხოლმე გაღების დროს. ახლაც, მარიანიტა რომ გამოუშვეს და კვლავ მიხურეს, ჭიშკარი კიდევ დიდხანს ძაგძაგებდა და გულისგამაწვრილებლად აყოარუნებდა საკეტს. შვიდი წლის გოგონა, რომელსაც აქეთ-იქეთ ორი ნაწნავი ჰქონდა აპრეხილი, ისე გამოაგდეს გარეთ, თითქოს რანჩოში ზედმეტი ყოფილიყოს.

— უქნარავ, წადი და გაყიდე შენი ჭრელა. სახლში კაპიკი არ არის, ჩაის საყიდელი ფულიც კი არა გვაქვს.

მართლაც, შინ მატეც კი არ გააჩნიათ. ნამდვილად ასეა. საქათმეში მხოლოდ უნიათო მამალიღა დარჩა, რომელსაც გათენებისას დაყოვლებაც არ შეეძლო და კრუხი, რომელიც კვერცხებზე იჯდა. მხოლოდ გოგონას იმედი აქვთ. ან იქნებ ძმებმაც უშველონ ოჯახს, თუ ბედი ეწევათ და ძველი თოფით რაიმეს მოკლავენ: ხომ უნდა დაეხმარონ დედას, იგი ფეხძძიმედაა, მეხუთე თვეშია.

კვირაობით მარიანიტა ხშირად მიდიოდა სოფელში ქათმების გასაყიდად. სახლებს იმ დროს დაივლიდა, როდესაც ცოდვებისაგან განწმენდილი და დაშოშმინებული დიასახლისები ეკლესიიდან ბრუნდებოდნენ, კმაყოფილნი იმით, რომ ღვთის მიმართ თავიანთი ვალი მოიხადეს. ხანდახან გოგონა თავისუფლების მოედანზე გასვლამდე დაიცლიდა ხოლმე ხელს. მთელ მის საქონელს მარმარილოს აივნიან ორ-სამ სახლში ყიდულობდნენ. ხანდახან მოახლეები ბუზღუნებდნენ, რადგან შიშისაგან იყო თუ სიხარულისაგან, მარმარილოთი მოფენილ წინაოთახში მოვხვდითო, ქათმები იქაურობას სვრიდნენ. ამ ბუზღუნის საპასუხოდ მარიანიტა და მისი ძმები მხოლოდ მხრებს იჩეჩდნენ, მერე, აღებულ ფულს მუჭში დაიჭერდნენ და ბორცვზე აცოცდებოდნენ, რომ დაღამებამდე თამაშით გული ეჯერებინათ.

მაგრამ იმ დღეს მარიანიტა ისე ყოჩაღად არ იქცეოდა, როგორც სხვა დროს. ენანებოდა ჭრელას გაყიდვა, რომელიც მისი ხელიდან კენკავდა მარცვალს და ლეკვივით კუდში დასდევდა. გოგონა მზად იყო მოეპარა რამე, ოღონდ კი თავის რჩეულს არ განშორებოდა.

სახლში ქათმების მოსახმობად მარიანიტას ყველაზე ნაზი სახელები ჰქონდა შერჩეული. ჭრელას გულში ჩაეკრავდა და საალერსო სიტყვებს ეჩურჩულებოდა. სოფლისკენ რომ მიდიოდა, გოგონა ხელს უსვამდა ბრჭყვიალა ბუმბულზე, ვარდისფერქოჩრიან თავზე და ეტიტინებოდა — გასაგებია, რას ეტყოდა ასეთ დროს ბავშვი თავის რჩეულს.

— მანსიტა, საყვარელი მანსიტა, — იმეორებდა გოგონა და ქუჩიდან ქუჩაზე გადადიოდა, ქათმის გაყიდვა ვერ გადაეწყვიტა. წარმოიდგინა, რომ იგი გამოასეირნა, რომ გაერთო, ეკლესიაში წაეყვანა. მაგრამ ხომ არ შეიძლება მთელი დილა სოფელში ქათმიანად იხეტიალო, უცხოთა სახლის კარებთან გაჩერდე და ვერ გაბედო გარუჯული ხელი დააჭიროო ზარს, რომელიც მამლის თვალივით გიყურებს. ბოლოს და ბოლოს, მარიანიტამ ძალა მოიკრიბა და დარეკა.

კარის გაღება დააგვიანეს. მით უკეთესი, კიდევ მოასწრებს რამდენიმე სიტყვა ჩასჩურჩულოს თავის მეგობარს.

მაგრამ დიდხანს ლოდინი არ დასჭირვებია. შატანსაცმელში კამოწყობილი მუქსათვალიანი სენიორი გამოვიდა და უთხრა: „წადი აქედან, ქათმებს არ ვყიდულობ!“ შავი სათვალეებიდან კარგად ვერაფერს დაინახავ. ამიტომ ვერ შენიშნა სენიორმა ბედნიერი ღიმილი ბავშვის სახეზე. ასეთი ადამიანები ვერასოდეს ვერ ამჩნევენ სხვის ხიხარულს.

მარიანიტა კედელ-კედელ მიდიოდა: მეტად მიმზიდველი ეჩვენებოდა მზით გაბდღვრიალებული ბილიკი. სახლის ქვედა სართული ღია ფერად შეეღებათ და კედელზე მზის სხივები ციალებდნენ. მეეზოვე რომ არა, მარიანიტა მთელი დღე აქ დარჩებოდა, ჩაცუცქდებოდა და ლამაზად ჩაცმულ გამვლელებს შეაცქერდებოდა. ბედნიერება იქნებოდა დაენახა, როგორ ბრუნდებოდნენ ეკლესიიდან მდიდარი სენიორები, რომელთაც ხელში ნუგბარი ცასუნნავი ეჭირათ. მაგრამ გოგონას გაახსენდა, რომ შინ, რანჩოში, კაპიკიც არ მოიძევება, მატეს საყიდელი ფულიც კი არ გააჩნიათ.

— ქათამი არ გნებავთ, სენიორ?

ხის ჭიშკარი ცხვირწინ მიუხურეს. სენიორმა ისიც კი ვერ შენიშნა, როგორ გაუხარდა მარიანიტას მისი ასეთი მტკიცე უარი.

ისევ უცხოთა ჭიშკრები. უცხოთა კარები და უცხოთა ზღურბლი. ყველგან უარით ისტუმრებდნენ. მაგრამ აი, ერთგან მოხუცმა ქალმა გამოიხედა, ბავშვივით მოალერსე იყო, სრულებით არ შეგეშინდებოდათ მისი.

— რამდენი გინდა ქათამში, შვილო?

მარიანიტა დაიბნა, სისხლი გაეყინა ძარღვებში. ბოლოს, დედამ რომ დააბარა, იმაზე ორჯერ მეტი დაუფასა. იმედი ჰქონდა, ახლავე უარს მეტყვისო. მაგრამ შეცდა. მოხუცმა სენიორამ უთხრა, დამიცადეო. კარი ღია იყო და მარიანიტამ შიგნიდან ჩურჩული გაიგონა. მარტო დარჩენილმა გოგონამ მოასწრო მანისტასთვის ლამაზ, მწიფე მარწყვივით წითელ ქოჩორზე ეკოცნა.

იატაკზე ფეხების ფლატუნი მოისმა. მოხუცნელ-ნელა მიუახლოვდა გოგონას და ხელი ქათამს წაატანა. მეორე ხელში ფული ეჭირა. შეუბრალებლად ფეხებით დაიჭირა ჭრელა და რამდენჯერმე შეისროლა, თითქოს აქანავებდა.

— აჰა, გენაცვალე, — ქალმა მარიანიტას ფული გაუწოდა, — ეს ერთი რეალი კი შენი იყოს.

წუთით მარიანიტას გული აუჩუყდა, პირველად უთხრეს — გენაცვალეო. მაგრამ, როგორც კი მოხუცმა სენიორამ კარი მიხურა და მანსიტა წაიყვანა, რომელიც ისე კრიახობდა, თითქოს კლავენო, მარიანიტას ეს გულქვა მოხუცი შეჯავრდა. დაწნული კიკინები გვერდზე სიბრაზით აეპრიხა.

გოგონამ მეორე მხარეს გადაირბინა, ოღონდ იქარა კაეცალოს ჩქაუროობას, ოღონდ [illegible] ეს ოცდავი კენესა არ გაიგონოს. სინქარეში კინაღამ სატვირთო მანქანის ქვეშ არ მოჰყვა ბიჭებმა გადაარჩინეს. კვირაობით ქუჩებში უამრავი ხალხი გამოეფინება, მაგრამ რისი გაყიდვაც გინდა, გაგიჭნელდება.

მარიანიტა თავჩაქინდრული დაეხეტებოდა. ასე უნდომლად მიბორიალებს ბავშვი, რომელსაც მშობლებმა რაიმე დაავალეს. ბილიკზე ჩრდილი ჩამოწვა. მზე მიიმალა. აი იგი კუთხეში ხილის ფარდულის წინ შეჩერდა. მზის შუქი ფორთოხლებზე კიაფობდა, ნაირფერი, მიმზიდველი ხილი გროვებად ეწყო — უზარმაზარი ბანანების კუნწულები. ანანასები, ვაშლები სათამაშოებივით ჩაემწკრივებინათ; იქვე იყო წვნიანი მწიფე ლიმონები. მარიანიტას არაფერი ხიბლავდა. ამდენ სიუხვეს რომ ხედავდა, უფრო მაგრად ბღუჯავდა ხელში ფულს. არ დავკარგოო. უეცრად კვერცხებით სავსე უთის მოჰკრა თვალი. გამყიდველმა ფანჯრიდან დაინახა გოგონა. იგი მოჯადოებულივით იდგა და თვალს არ აშორებდა კვერცხებს. როცა მარიანიტა ფარდულში შევიდა და ერთ კვერცხზე მიუთითა, შეიძლება თუ არა ვიყიდოო, გამყიდველს სახე ღიმილმა გაუნათა.

— მაინცდამაინც ეს? — ჰკითხა გამყიდველმა.

— დიახ, — ძლივს გასაგონად წაჩურჩულა გოგონამ.

— რატომ მაინცდამაინც ეს და სხვა არა?

ხშირად ვერ ახსნი, რატომ. შვიდი წლის ასაკში ყველა ვერ გიპასუხებთ ასეთ კითხვაზე. გამყიდველმა მხრები აიჩეჩა, თითებით ონცბაზიანით ამოიღო უთიდან კვერცხი და ყვავილივით მიართვა გოგონას.

მარიანიტამ ჰკითხა, რამდენი უნდა გადავიხადოო. გამყიდველი ერთი იმათგანი გახლდათ, ვინც მზიან კვირა დღეს ბავშვებს ჯადოქარივით გამოეცხადება ხოლმე. „გაჩუქე“ — უპასუხა მან მარიანიტამ მადლობა გადაუხადა და შეუცნობელი ეშმაკური სინაზით გაუღიმა. იგი რანჩოსაკენ გაიქცა და ერთი ათჯერ მაინც მოიხედა უკან, სანამ მრუხვევდა.

დედას გაუკვირდა, ფული რომ დათვალა. ბაზარში ფასებმა მოიმატეს? წინასწარ რას გაიგებ. ბაზარში ბევრ უცნაურობას გადააწყდები.

მარიანიტამ კვერცხი კაბის ჯიბეში ჩაიდო და გაიქცა უთისაკენ, რომელშიც კრუხი იჯდა. კრუხი უხალისოდ ღებულობდა დაუპატიჟებელ სტუმრებს როგორც ყველა, ვინც სასარგებლო საქმით არის გართული. გოგონამ კვერცხი ნახშირით დანიშნა და ფრთხილად ამოუდო კრუხს თბილი ფრთების ქვეშ.

უცბად გულს მოეფონა, მანსიტას დაკარგვასაც შეურიგდა.

უთიდან მოშორებით ჩაცუცქული გოგონა და კრუხი, უნდობლად რომ აელმებდა ცალ თვალს, დიდხანს შესცქეროდნენ ერთმანეთს.

ოცდაერთი დღის შემდეგ კი...

თარგმნა ლამარა თუურმანიძემ

ლექსი და... ჯოჯოხეთის მუსიკა

ზამთარი მართლაც მძიმე და სუსხიანი იყო. თოვლის ნამქერებმა ერთიანად დაფარა ეზოები და შუკები. თეთრად გადაპენტილ ველ-მინდვრებზე კავკასიონმა ერთხელ კიდევ შეიბერტყა მხრები და თოვლისაგან დამძიმებული ხეები ქანდაკებადქცეულ თეორ გოლიათებს დაემსგავსნენ. სწორედ ამ უამინდობაში, ჯერ კიდევ ახლადგაკვალული თოვლიანი ქუჩა აჩქარებით გადაჭრა ტყაპუჭიანმა მწყემსმა და ახმეტის რაიონული მილიციის შენობაში შევიდა.

მილიციის მორიგემ შეშფოთებით ახედა მოულოდნელ სტუმარს და რაკი შემოსული მალევე იცნო, გაკვირვებით მიაჩერდა.

— ამ უთენია, თოვლსა და ჭყაპში რამ ჩამოგიყვანა მთიდან, გაბო?

შემოსულს შუბლი არ გაუხსნია, კომბალი კუთხეში მიაყუდა, ვეება ხელებით თოვლი ჩამოიბერტყა, თბილი ფაფახი მოიხადა და ძლივს ამოიღო ხმა.

— უფროსი აქ არის?

— აქ არის, სულ ორიოდე წუთია, რაც მოვიდა. უბედურება ხომ არაფერია, კაცო?

— აბა, ძილი იმიტომ გავიმწარე, რომ ამ დილაადრიან ქორწილში დაგპატიჟო! — გაბოროტებულმა მწყემსმა სრულიად უმიზეზოდ გაკენწლა მორიგე, აღარც მიუხედავს მისკენ და უფროსის კაბინეტისაკენ გაემართა.

მილიციის უფროსი ფანჯარასთან იდგა და დათოვლილ ქალაქს გაჰყურებდა. უცბად რაღაც გაახსენდა, სწრაფად შემობრუნდა და ტელეფონის ნომერი აკრიფა. სწორედ ამ დროს კაბინეტის კარები გაიღო და ოთახში თავიდან ფეხებამდე დასველებული მწყემსი შემოვიდა. უცნობი უხერხულად ატრიალებდა ხელში ფაფახს და არ იცოდა საიდან დაეწყო. ისევ მაიორმა გამოიყვანა უხერხულ მდგომარეობიდან.

— რა გაგჭირვებია, სტუმარო?

— მიშველე, უფროსო, ქურდები მაპოვნინე და შენს მზეს ვილოცებ. დანაკარგი ისე არ მადარდებს, როგორც სირცხვილი. როგორ უნდა გამოეყო თავი გარეთ. ერთი ხელში ჩამაგდებინა ის ძაღლისშვილები და მერე მე ვიცი!

— დაწყნარდი, დაწვრილებით მომიყევი ყველაფერი და დაგეხმარებით, მაშ რისთვის ვართ აქ, შე კაი კაცო, — დაამშვიდა უფროსმა.

ღორის კოლტი ხეკგრძელის ტყეში ჰყავდა დაბინავებული გაბო დინგაშვილს; მწყემსმა სულ ცოტახნით მიატოვა ბინა, სოფელში ჩავიდა პურის ამოსატანად, მაგრამ უკან დაბრუნებულს ღორი ადგილზე აღარ დაუხვდა. ბოროტმოქმედებს ერთიანად გაერეკათ მთელი კოლტი. კინაღამ შეიშალა კაცი, მხარზე კომბალი გაიდო და ქურდებს თვითონ დაედევნა. გაუკვალავ თოვლზე ყველაფერი თვალნათლივ ჩანდა.

ქურდებს სავალად ღუდე-ღუდე ადგილები აერჩიათ, ტყე-ტყე გაჰყოლოდნენ ბილიკებს და ისე ჩასულიყვნენ იფნის გორაში. იქიდან კი ძალიან გაძნელდა კვალის გაგნება: მანამდე ორი კაცი მოსდევდა კოლტს. მათი ფეხის ანაბეჭდები აშკარად ემჩნეოდა თოვლს, მაგრამ იფნის გორის შემდეგ ყველაფერი აირია.

საგანგებო ოპერატიული გეგმის მიხედვით საგულდაგულოდ მოჩხრიკეს საეჭვო ადგილები, მაგრამ ქურდების კვალს მაინც ვერ მიაგნეს. არც ახმეტის, თელავის, გურჯაანის და ყვარლის საკოლმეურნეო ბაზრების შემოწმებამ გამოიღო შედეგი. მთელი კოლტი ღორისა და ბოროტმოქმედებ თვალსა და ხელს შუა გაქრნენ.

გადაწყდა გადაესინჯათ ღორების ქურდობისათვის ნასამართლები პირების საქმეები, შეემოწმებინათ პატიმრობიდან დაბრუნებულები, მათი ოჯახები და სწორედ მათ შორის ეძებნათ დამნაშავენი. მილიციის მუშაკთა ყურადღება ახმეტაში მცხოვრებმა ხვთისო გიორგის-ძე პეტრიაშვილმა მიიპყრო: ამგვარი ხერხით მას ადრეც არაერთხელ გამოურეკია ღორი სადგომებიდან. რამდენჯერმე პასუხისგებაშიც იყო მიცემული ქურდობისათვის. მართალია ქურდობის დღეს იგი სახლში იყო, მაგრამ ის კი დადგინდა, რომ მეორე დღეს მეგობრებმა — იოსებ ჩოხელიშვილმა და იოსებ გოგნელიშვილმა გამოუარეს და საღამომდე ერთად ქეიფობდნენ. მათი საქციელი ეჭვს იწვევდა.

მილიციის რაიონულ განყოფილებაში რომ მოიყვანეს, ძმაკაცებმა ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს. რას ამბობთ, ხალხო, რის ღორი, რა ღორი, ღმერთო დაგვიფარე შარისაგან. თქვენი პირუტყვი თვალითაც არ დაგვინახავსო. ხმას იმაღლებდნენ, პროტესტს აცხადებდნენ, რა გინდათ, რას გვერჩით, ცილს რათა გვწამებთო!

მილიციის მუშაკებს ხელმოსაჭიდი საბუთი არაფერი ჰქონდათ, გადაწყდა დაკავებულებისათვის ბოდიში მოეხადათ და გაენთავისუფლებინათ. მაიორმა ის იყო კიდეც უთხრა — წადით თქვენ თქვენს სახლებშიო; ისინიც კარისაკენ გაეშურნენ, და უცებ შენიშნა მაიორმა: კართან მისულმა ჩოხელიშვილმა ჯიბეზე იტაცა ხელი, რაღაც ქაღალდი მოსინჯა და სწრაფად ჯიბეშივე ჩაიდო.

— რას მალავ, ბიჭო, ასე საგულდაგულოდ? — შეეკითხა მილიციის უფროსი.

— არაფერს, უფროსო, ლექსია, უბრალო ლექსი, — ვეღარ დამალა ჩოხელიშვილმა, ეგონა ლექსი მილიციის მუშაკს არ დაინტერესებსო და დაიმორცხვა — ფშაველი კაცი ვარ, ზოგჯერ ლექსის ჭია შემიჯდება და თუ არ დავწერე, ვეღარ ვითმენ. წუხელაც ასე დამემართა.

— ლექსებსა სწერ, შე დაღუპულო! ლექსები მეც მიყვარს. აბა ერთი წამაკითხე!

ჩოხელიშვილმა იუარა: ამ ჩემი აბდაუბდის წაკითხვა არა ღირსო, მაგრამ მილიციის უფროსი არ მოეშვა. ქაღალდი ჩამოართვა და ისე ჩაიკითხა ბოლომდე, ერთხელაც არ აუხედავს ზევით. ლექსში დაუფარავად იყო ნათქვამი ის, რასაც ასე ჯიუტად ეძებდა მაიორი.

გიამბობთ ჩოხელიშვილი
თავის თავგადასავალსა,
როგორ ვიპარავთ ღორებსა,
თოკლზე გავრეკავთ მრავალსა.

ულრან ტყეს გამოვუდგებით,
ბილიკს არ ვეძებთ სავალსა,
კვერდით მყავს გოგნელიშვილი,
ვეფხვსა ჰგავს კლდეზე მავალსა.

პირველი გამორეკვისას
ვახსენებთ მამა-მთავარსა,
დიდებულს ლაშარის ჯვარსა
და იმის კვალზე მავალსა:

— ნუ შაახვედრებ პატრონსა
მალე პირუტყვის ნავალსა,
ჩვენ იმ ღორების ფულითა
ღვინის თასს ავწევთ მრავალსა,
დავლეთ თქვენს სადიდებელოს,
კარგ სიტყვას ვიტყვით მრავალსა.

ჰაგრამ დიდების მაგიერ
ამ საქმეს მოჰყვა გიჟება,
გაგვიგეს, ჩაგვსვეს კამერაში,
ღელ და ღამ არ გვეძინა.

ნათლია მუსაც მოგვგვარეს,
ეს რადღა დაუჭერიაო?!
შემოხსნეს ძვირფას ჭაბარ...
გაუნიავეს წელია,
გაჭხრიკეს მორიგეებმა,
ოქვეს ...ესეც დასიჭერ...

მიჰყავს მორიგეს ღიღინი
თათრების მოლა ბრძენია,
ჩასვეს მეოთხე კამერაში,
— შედი მანდ, შენი ჯერია.
ღორების ფულით ნაყიდი
ღვინო შენც დაგილევია.

— რა ჰქენ, ნათლია თევდორე,
ან როგორ შაუძელია,
როგორ ატარე დღეები,
ან ღამეები ბნელია,
ხვარა გციოდა ძაანა,
ხვარ დაგისველდა წელია
რა მალე ამოგაშხამეს,
ის ღვინომც არ დაგელია.
დაგტირის პეტრიაშვილი,
ღორების გამყიდველია.

თვითონაც ამ საქმეზე ...
რაღა აქვს საცინელია,
ხომ იცის მაგის სტატიას
მოელის ხუთი წელია.
თანაც ქონების აწერა,
სახლის გაყიდვა ძნელია.
რას გვიქმენ მე და იოსებს,
ჩვენ რა გვაქვს საღარეკელია,
ჩვენ-ნთგან მარტო წაიღეს
თითო პერანგი ძველია,
ჩვენ მაინც აღარ ვიცვამენ,
არ უვარგოდა ფერია.

მილიციის უფროსი ფეხზე წამოდგა. ღიმილს ძლივს იკავებდა, ხმაც არ ამოუღია. ისე დააჭირა ღილაკს თითი და მორიგეს უბრძანა:

— ჩაიყვანეთ პატიმრები საკანში!

მერე ყველაფერი თავისი გზით წავიდა. ქურდები იძულებული გახდნენ გამოტეხილიყვნენ დანაშაულში. მათ დაუფარავად აღიარეს თოვლიანი ღამის თავგადასავალი. ახლაც მორჩილად სხედან ისინი მიჩენილ ადგილზე და სინანულით იგონებენ მწარე წარსულს.

ჩოხელიშვილი კი თურმე წყევლა-კრულვით იგონებს იმ დღეს, როდესაც პირველად აიღო ხელში კალამი და ლექსის წერა გაბედა.

ანგი არსენაშვილი

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

ᲓᲠᲝᲨᲐ

ᲠᲐ ᲚᲘᲠᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲑᲘᲚᲔᲗᲘ

ნეაპოლელი კომერსანტი სახტად დარჩა, როცა თავისი სადარბაზოს წინ რამდენიმე დღით ადრე დაკარგული მსუბუქი მანქანა „მერსედესი“ დახვდა.

მანქანა მთლიანად ხელუხლებელი იყო. სავარძელზე იდო პატარა ბარათი და ორი ბილეთი როსელინის ოპერის პრემიერაზე დასასწრებლად.

წერილის ავტორი, რომელიც თავის თავს სტუდენტს უწოდებდა, ბოდიშს უხდიდა კომერსანტს.

„მაპატიეთ, — წერდა, იგი — აუცილებელი საქმის გამო, იძულებული ვიყავი თქვენი მანქანა წამეყვანა. მანქანის ქირის შემოთავაზება მეუხერხულება. გადავწყვიტე ოპერის პრემიერის ბილეთები გაგიმოგცეთ. მობრძანდით ოპერაში, გავიცნოთ ერთმანეთი და იქ, ერთხელ კიდევ მოგიხდით დიდ ბოდიშს“.

კომერსანტი მეუღლითურთ წავიდა ოპერაში. სტუდენტი ოპერაში არ მისულა. შინ დაბრუნებულ კომერსანტს ბინა პირწმინდად გაქურდული დახვდა. მაგიდაზე ბარათი იდო.

„მაპატიეთ. აუცილებელი საქმის გამო, ოპერაში ვერ მოვედი. გიტოვებთ მუსიკალური კომედიის პრემიერის ორ ბილეთს“.



ᲠᲔᲡᲢᲝᲠᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲓᲘᲜᲝᲖᲐᲕᲠᲘ

ამერიკელმა მოქანდაკემ კლოდ კენეტ ბელმა გადაწყვიტა, მის მიერ გამოქანდაკებული 45 მეტრიანი დინოზავრის მუცლის ღრუში რესტორანი გახსნას.

იმ შემთხვევაში, თუ ეს წამოწყება სარფიანი გამოდგება, კლოდ კენეტ ბელი თავის ბიზნესს გააფართოებს: იგი კალიფორნიაში ლოს-ანჟელეს—პელმ-სპრინგის ავტოსტრადის გაყოლებით ჩაამწკრივებს გიგანტურ ხვლიკებს, რომელთა ღრმულებში რესტორნებს, მაღაზიებსა და სხვა სავაჭრო ობიექტებს გახსნის.

ᲛᲘᲜᲘᲙᲐᲑᲘᲐᲜᲘ ᲛᲚᲝᲪᲕᲔᲚᲔᲑᲘ

ვატიკანის ხელისუფლებამ, ამ რამდენიმე ხნის წინ, სასტიკად აკრძალეს რომში, წმინდა პეტრეს ტაძარში მინიკაბიანი ქალების შეშვება. ამ მითითების შესრულებას პირველ ხანებში მონაზვნები ადევნებდნენ თვალყურს. ამას წინათ მონაზვნები ბერებმა შესცვალეს. საქმე იმაშია, რომ „ქრისტეს სარძლოებს“ ნერვები ეშლებოდათ ეკლესიის შესასელელთან ულტრა-მოდურად ჩაცმული ახალგაზრდა ქალიშვილების გამოჩენაზე. ერთ-ერთ მონაზონს, მაგალითად, სანახევროდ გაშიშვლებული ტურისტი ქალების დანახვაზე, გულიც კი შეუწუხდა.

ახლა ჯერი ბერებზეა. ვნახოთ, როგორი ნერვები აღმოაჩნდებათ მათ.

ᲓᲝᲜ-ᲟᲣᲐᲜᲘ ᲢᲐᲜᲙᲖᲔ

დასავლეთ გერმანიაში განლაგებული ამერიკის არმიის ერთმა ახალგაზრდა სერჟანტმა პაემანი დაუნიშნა ქალაქის რომელიღაც ბარის ოფიციანტს. ქერათმიანი გრეთხენი პაემანზე არ მოვიდა. ამ ამბავმა სერჟანტი ისე გააბრაზა, რომ მძიმე ტანკში ჩაჯდა, გრუხუნით მიადგა ბარს და მსხვილკალიბრიანი ზარბაზანი დაუმიზნა კარს.

ბარისა და შიგ მყოფი ხალხის ბედი ბეწვზე ეკიდა. თავზეხელაღებული დონ-ჟუანი საგანგებოდ გამოძახებულმა სამხედრო პატრულებმა რის ვაივაგლახით ამოათრიეს ტანკიდან.

შეშინებული ქერათმიანი ოფიციანტი საავადმყოფოში გააქანეს, შეყვარებული სერჟანტი კი სამხედრო პოლიციას გადასცეს.

ᲑᲝᲛᲑᲘ... ᲡᲐᲙᲚᲐᲡᲝ ᲝᲗᲐᲮᲨᲘ

კილის (დასავლეთ გერმანია) ჰუმბოლტის სახელობის საშუალო სკოლის კანცელარიაში ტელეფონის ზარის ხმა გაისმა. ვიღაც უცნობმა ყურმილში ჩასძახა, რომ სკოლის შენობაში დამალულია საათის მექანიზმიანი ბომბი, რომელიც ეს-ეს არის უნდა აფეთქდეს.

მეცადინეობა, რა თქმა უნდა, შეწყვიტეს და ბავშვები საჩქაროდ გაუშვეს სახლებში.

პოლიციამ ბომბი ვერ იპოვა, სამაგიეროდ მათ შესძლეს დაედგინათ, თუ სკოლის კანცელარიაში ვინ დარეკა ტელეფონით.

„კეთილი უცნობი“, რომელმაც სკოლა ბომბის აფეთქების შესახებ გააფრთხილა, ამავე სკოლის მოსწავლე აღმოჩნდა.

საქმე შემდეგში იყო: რადიოსა და ტელევიზიის გადაცემათა გავლენაში მოქცეულმა ბავშვებმა წილი ჰყარეს; ვისაც წილი ერგო, პირნათლად შეასრულა მოვალეობა, სკოლის კანცელარიაში დარეკა და მთელი ჯგუფი დაიხსნა იმ დღეს დაგეგმილი მათემატიკის საკონტროლო წერითი სამუშაოსაგან.

ᲡᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲬᲧᲕᲘᲢᲝᲗ ᲪᲘᲢᲐᲢᲐ

ამერიკის შეერთებულ შტატებში ბიოსფეროს დაბინძურების პრობლემა იმდენად მწვავე გახდა, რომ მის შესახებ სახელმწიფო მოღვაწეებიც ალაპარაკდნენ. პრეზიდენტმა ნიქსონმა სატელევიზიო ინტერვიუში გამოჩენილი პოეტის თომას ელიოტის ლექსის მაღალემოციური სტრიქონებიც კი მოიყვანა ციტატად: „განწმინდეთ ჰაერი! განწმინდეთ ზეცა! განბანეთ ქარები! ქვას აგლიჯეთ ქვა და ორთავეს ჩამორეცხეთ ჭუჭყი!“

ნიქსონმა აქ წერტილი დასვა. მაგრამ ამაოდ! მომდევნო სტროფში ელიოტი აცხადებს: „...ჩვენ თვითონ ვართ შებილწულები. სისხლის წვიმაში ვერაფერს ვხედავთ!“

მართლაც რომ ზუსტად არის ყველაფერი ნათქვამი!

გარეკანის პირველ გვერდზე: იპოდრომზე, ფოტო თ. არჩვაძისა; მეოთხე გვერდზე: ღიმილი, ფოტო ვ. დოხნაძისა.

მთავარი რედაქტორი გ. ნ ა ტ რ ო შ ვ ი ლ ი.

სარედაქციო კოლეგია: **გ. ბახტაძე, თ. გოგოლაძე (პ/მგ. მდივანი), ს. დურმიშიძე, ლ. კალანდაძე, ვ. კიკნაძე, ა. კუსრაშვილი, დ. ნოდია (მხატვარი-რედაქტორი), მ. საკაშვილი, ი. ტაბაღუა, უ. ჯაფარიძე.**

საქ კპ ცკ-ის გამომცემლობა

ტექრედაქტორი დ. ხ ე ფ ი ა შ ვ ი ლ ი. კორექტორი ტ. თ ა ბ ო რ ი ძ ე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, III სართ. ტელ.—რედაქტორის—99-54-66, პ/მგ. მდივნის—99-82-69, განყოფილებების—93-28-42, 99-01-39

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. **ფასი 30 კაპ.**

გადაეცა ასაწყობად 11/IX-72 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/IX-72 წ. ქაღ. ზომა 70×108¹/₈. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. პირობით ნაბეჭდი ფურცელი 2,7. საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 3,4. ტირაჟი 51.100. შეკვ. № 2983. უე 02017.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) **Издательство ЦК КП Грузии**

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14. Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ცნობისმოყვარე. ფოტო ზ. დათუაშვილისა.

ИНДЕКС 76056